დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

- **თავმჯდომარე:** მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

- თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200275549

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ჩარგლის ქუჩა N36ა
საფოსტო ინდექსი	0180
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://cisakari.ge/ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Cisakari1@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 185 136

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	გრძანება № MES 0 26 0000404036; 03/04/2026წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 07 და 08 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი ჩარგლის ქუჩა N36ა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი ჩარგლის ქუჩა N36ა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი ჩარგლის ქუჩა N36ა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
255	188	*255*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარში შექმნილია კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო. დაწესებულება გამოირჩევა ჰუმანური საგადასახადო პოლიტიკითა და მხარდამჭერი ადმინისტრაციით, რომელიც სისტემატურად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე. ამასთანავე, კვალიფიციური გუნდი მუდმივად ორიენტირებულია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარებასა და ხარისხის დახვეწაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 255	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლამ უზრუნველყოს ტერიტორიის გამიჯნვა მოქმედი ეკლესიის ტერიტორიისგან, შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში -2027 წლის ივნისამდე.*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლამ უზრუნველყოს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში -2027 წლის ივნისამდე.*
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლამ უზრუნველყოს შენობების სრულად ადაპტირება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში-2026 წლის 15 სექტემბრამდე.*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო *დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.1	***სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს***	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ იკითხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პერიოდულობა და ვადები, სასურველია დაზუსტეს საკითხი, რაც უფრო გაზომვადს და რელევანტურს გახდის მონიტორინგის პროცესს.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.1.2.1	**პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**	*სასურველია სკოლამ თითოეული კონკურსის პირობები განსაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად;*

3.4.1.1.	კოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლის შენობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, სასურველია სკოლამ დროული ნაბიჯები გადადგას;*
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სასურველია სკოლამ- გაიაზროს კვალიფიციური და სტაბილური სამედიცინო პერსონალის არსებობის აუცილებლობა სკოლაში, გრძელვადიან პერსპექტივაში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკითხს და უზრუნველყოს სკოლისათვის არსებული კადრით სტაბილური უზრუნველყოფა;*
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*მოძრავი პანდუსები მესამე სართულზე გადასაადგილებლად არც თუ ისე ხელსაყრელ გარემოს ქმნის, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლა **სასურველია** დამონტაჟდეს ლიფტი;*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
4.2.4.1	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება	*სასურველია სკოლამ დროულად უზრუნველყოს კვებითი მომსახურების (ბიზნეს ოპერატორის) მარეგულირებლის მხრიდან შემოწმება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების“ დაცვის უზრუნველყოფა;*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
*ინდიკატორი N*2.1.2. 1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	• *სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების II – VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ამ ეტაპზე ადგილი აქვს შეუსაბამობას. სტანდარტში მოცემული თემების ნაცვლად ვხვდებით ზოგჯერ ცნება/ქვეცნებებს, ან სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხებსა და თემებს;*

	დაგეგმვისა და განვითარების გზას	• *სასურველია, დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დაემატოს თემატური ბლოკები სტანდარტის შესაბამისად, საკითხების გრაფაში ქვეცნებები გადატანილ იქნას სამიზნე ცნებების გრაფაში, ხოლო საკითხების გრაფაში აისახოს დავალების შესაბამისი შინაარსი. შუალედური სასწავლო მიზნების გრაფაში დავალებები გამსხვილდეს და ამოღებულ იქნას ზედმეტი აქტივობები. სასწავლო რესურსების გრაფაში შეტანილ იქნას სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა და ინტერნეტრესურსები;* • *ასევე, სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების V–VI კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეხუთე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები.*
*ინდიკატორი N*2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	• *სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I – IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმის მე-10 მუხლის შესაბამისად, ანუ უნიფიცირებული V-VI კლასის ბუნებისმეტყველების სამიზნე ცნებებთან;* • *მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების სასკოლო კურიკულუმში ჩაიწეროს სამიზნე ცნებები სტანდარტის შესაბამისად. ამ ეტაპზე მე-4 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები საერთოდ არ არის დაფიქსირებული, მოცემულია მხოლოდ ქვეცნებები - ზოგადი და კერძო;* • *ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ყველა თემის მიხედვით (საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი თემების შემთხვევაში) წარმოდგენილი იყოს შუალედური სასწავლო მიზნები. ამ ეტაპზე, როგორც წესი, წლის განმავლობაში დაგეგმილია ერთი შემოქმედებითი ტიპის დავალება - შუალედური სასწავლო მიზანი;* • *სასურველია, რომ მოსწავლის მიერ შექმნილ საბუნებისმეტყველო შემოქმედებითი ტიპის პროდუქტში აისახოს კავშირი სამიზნე ცნებას, ქვეცნებებს, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებს/ქვესაკითხებს შორის;* • *სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების V–VI კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეხუთე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები.*

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	• *სასურველია, ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმების ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად და ჩანდეს კურიკულუმებში ყველა სავალდებულო თემის დამუშავება.*
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	• *სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები;* • *სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით;* • *სასურვველია, ყველ საბუნებისმეტყველოს ა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .*
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	• *სასურველია, გადაიხედოს დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები და რესურსების გრაფაში სისტემურად განთავსდეს თემატიკის შესაბამისი სასწავლო მასალები სახელმძღვანელოდან და შესაბამისი ინტერნეტრესურსები.*
სტანდარტი N2	*ზოგადი განათლების საბაზო საფეხური*	*რჩევა*

*ინდიკატორი N*2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	• *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*
*ინდიკატორი N*2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• *სასურველია ბუნებისმეტყველებაში (შესაბამის კლასებში) განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან, ასევე, ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას/ქვეცნებას შორის;* • *სასურველია , ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურზე საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები.* • *სასურველია,საგნობრივმა კათედრებმა 1-4 კლასში შეიმუშაონ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები მიემართოს სამიზნე ცნების დამუშავებაზე.*
*ინდიკატორი N*2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• *სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან მიმართებით, კონკრეტული საკითხების შესაბამისად, რათა მეტად გამოიკვეთოს კავშირი საკითხსა და სამიზნე ცნება/ქვეცნებებს შორის.*
*ინდიკატორი N*2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• *სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში; შერჩეულ იქნას სამიზნე ცნების განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით.* • *სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში საბაზო საფეხურზე, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან მიმართებით, კონკრეტული საკითხების შესაბამისად, რათა მეტად გამოიკვეთოს კავშირი საკითხსა და სამიზნე ცნება/ქვეცნებებს შორის.*

*ინდიკატორი N*2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	• *სასურველია მოეწყოს დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.*
*ინდიკატორი N*2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	• *სასურველია, საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.*
*ინდიკატორი N*2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	• *სასურველია, საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.*
*ინდიკატორი N*2.2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	*სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის მითითებული იყოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები და შესაბამისი ელექტრონული რესურსები.*
*ინდიკატორი N*2.2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	• *სასურველია ქიმიის კაბინეტში დამონტაჟდეს სადემონსტრაციო მაგიდა, სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით;* • *სასურველია ქიმიის კაბინეტში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა, რომელიც ლოკალურად მუშაობს - უზრუნველყოფს აირადი ნივთიერებების გაწოვას უშუალოდ ცდის განხორციელების ზონიდან; აღნიშნული ხელს შეუწყობს ქიმიური ცდების მოსწავლეებისათვის უსაფრთხოდ ჩატარებას;* • *სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები (ცდის/ლაბ. სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები), რაც სასწავლო პროცესში ცდების ჩატარებას სისტემურ და სისტემატურ ხასიათს მისცემს;*

		• *სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია", აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით.* • *სასურველია, საგაზო საფეხურის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის მითითებული იყოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები და შესაბამისი ელექტრონული რესურსები.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	• *სასურველია, ფიზიკის მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);* • *სასურველია, ბიოლოგიის ისეთი რესურსების, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შევსება და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით შესაბამისი წარწერების გაკეთება;* • *სასურველია, ქიმიის რეაქტივებისა და მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
ა) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დოკუმენტების წარმოებისას გამოიჩინოს მეტი ყურადღება, კერძოდ დღის რეჟიმთან, საათობრივ ბადესთან და VII კლასის შემაჯამებლების რაოდენობასთან დაკავშირებით; ასევე დოკუმენტებში ასახოს ის რასაც ახორციელებს, კერძოდ შიდასასკოლო გამოცდა, რომელიც სადიაგნოსტიკო წერა უფროა ვიდრე გამოცდა.	**შესრულდა** (მოქმედი კანონმდებლობის/შიდა სასკოლო რეგულაციების გათვალისწინებით)

ბ) სპორტის სწავლებასთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია, რომ დაწყებით საფეხურზე ისწავლება ფიზიკური აღზრდა, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი; გ) არჩევითი საგნების სწავლებისას გაითვალისწინოს არჩევითი საგნის მოდულების რაოდენობა და სემესტრულად სწავლება;	
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამოჯნოს დაწყებითი საფეხურის სველი წერტილები სქესის მიხედვით;	შესრულდა
ხშირად განხორციელდეს ვებ-გვერდის განახლება და ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საჭირო სასკოლო დოკუმენტაცია;	შესრულდა
ხელშეკრულებებში ჩაიწეროს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები“;	შესრულდა
ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ისეთი მიმართულებებიც, როგორიცაა დამრიგებელთა პროფესიული განვითარება, ან სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.	შესრულდა

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორები -3.4.1.1 და 3.5.1.4 დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შემდგომ ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

„შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარის“ მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მასში დეკლარირებულია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა- ცვალებად მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც წარმატებული იქნება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მისია ასახავს დაწესებულების დანიშნულებას, გამოხატავს მის იდენტობას. სკოლის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და მასში ასახულია სკოლის მისწრაფებები. ღირებულებები კი წარმოდგენილია ისეთი პრინციპების სახით, როგორიცაა: ღიაობა, გამჭვირვალობა, გუნდურობა, თანამშრომლობა, პროფესიონალიზმი, ტოლერანტობა და განვითარებაზე ორიენტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, შეისწავლოს საკუთარი და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რასაც ასახავს მისიაში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს. აღსანიშნავია სკოლის შიდა სივრცეები, სადაც ხორციელდება

ფორმალური და არაფორმალური აქტივობები და შიდა სასკოლო პროექტები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა წარმატება და შემოქმედებითობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფიის შექმნა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლება/შემუშავების პროცესში, სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და უკავშირის მიზნით ჩამოაყალიბა სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ვერსია, რის შემდეგაც პროექტის შეფასების მიზნით განხორციელდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობდა: 27 თანამშრომელი; 32 მოსწავლე; 71 მშობელი- სულ გამოიკითხა 130 რესპონდენტი. კითხვარის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, რამდენად შეესაბამება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების მოლოდინებსა და საჭიროებებს. კვლევის ანალიზის საფუძველზე მომზადდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, ჩატარდა ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა, კვლევები, ასევე სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები არის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში სადემონსტრაციო დაფის სახით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფლებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

„შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარის“ სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (04.02.2022 წ; ბრძ. N 661);
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2 (05.10.2022წ.);
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი https://cisakari.ge/;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის ორი ვერსია, ერთი რომელიც დამტკიცებულია 04.02.2022 წლის N 661 ბრძანებით (რომლის მიხედვითაც შექმნილია სკოლის ფილოსოფია და 2023-2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა) და მეორე, რომელიც დამტკიცებულია უკვე 2024 წლის 9 ივლისის N787 ბრძანებით. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით დოკუმენტის ცვლილება განაპირობა მეტი კონკრეტიზაციის საჭროებამ. ეს ორი დოკუმენტი პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი მეთოდოლოგით, რომელიც უფრო დაკონკრეტებულ ნარატივებს გულისხმობს, თუმცა 2022 წლის დოკუმენტთან მიმართებით რეგულაციების და პროცესების სხვაობა არაა თვალშისაცემი. მოქმედი მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიზანია აღწეროს სკოლის სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება.მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა გზას/პროცესს გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, როდესაც ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, სკოლას მხედველობაში აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც დეკლარირებული პრინციპები. ამასთან, სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამება დაწესებულების მისიას. ხოლო სტრატეგიული მიზნის რეალიზების გზად წარმოდგენილია ამოცანები. შესაბამისად დგინდება კორელაცია აღნიშნულ გეგმასა და სკოლის ფილოსოფიას შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შედგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 08 სექტემბერს N2/056 ბრძანებით, წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესაბამისი აქტივობები სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები თუ შესაბამისი რესურსები განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ დაგეგმილ აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია(04.02.2022 წ; ბრძ. N 661);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (09.072024 წ; ბრძ.N787);
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2029 წელი)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას (მუხლი 7;8;9;10;11), სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.დოკუმენტის თანახმად მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია,დირექტორი, ან/და საჭიროების მიხედვით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

<u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ იკითხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პერიოდულობა და ვადები, სასურველია დაზუსტეს საკითხი, რაც უფრო გაზომვადს და რელევანტურს გახდის მონიტორინგის პროცესს.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

როგორც უკვე აღინიშნა, სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. დოკუმენტის თანახმად სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და პედაგოგიურ საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის 2023-2029 წლის სტატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი ჯერ არ განხორციელებულა. რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, მისი მონიტორინგის შედეგები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა) მოიცავს შესაბამის მექნიზმებს, რაც ეხმარება სკოლას შედეგების გაანალიზებაში. პროცესები აღწერილია ციკლურად, რაც ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. ასევე გასული პერიოდის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ გასული წლის სამოქმედო გეგმის ანალიზები გათვალისწინებული იყო მომდევნო წლის დაგეგმვისას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია(04.02.2022 წ; ბრძ. N 661);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (09.072024 წ; ბრძ.N787);
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2029 წელი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები. სკოლის სტრუქტურის თანახმად გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, საქმისმწარმოებელი, ხარისხის მართვის მენეჯერები, ადამიანური რესურრსების მართვის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ბუღალტერი, საგნობრივი კათედრები, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, პედაგოგიური საბჭო, კლასის დამრიგებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, დამლაგებელი. აღნიშნული პირების ფუნქციები შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით გაწერილია როგორც სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ასევე მათთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულებით სკოლის ვებგვერდზეც არის საჯარო. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დასაქმებულთა შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილი იერარქიულად განსაზღვრული სტრუქტურული რგოლები და პოზიციები

ორგანიზებულია, მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2025-2026წ.) წარმოდგენილია მთავარი მიზნები/ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირები და გათვალისწინებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „შპს სკოლა-ლიცეუმ ცისკარის“ დებულება (14.01.2026წ. N2/003 ბრძანება);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/ge

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამ მიმართულებით, სკოლამ წარმოადგინა ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის პროცესების განხორციელებას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული "პერსონალის მართვის პოლიტიკის" სკოლის დებულების და შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტებში იკითხება სკოლაში თანამშრომლის მიღების, საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესები.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მასალები. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მიერ გამოცხადებული საკონკურსო პროცედურების განხორციელების ეტაპები. შესაბამისად, კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების პროცედურები ძირითადად ხორციელდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა რამდენიმე საკონკურსო ჩანაწერში კონკურსის ვადის არასწორი მითითება ფიქსირდებოდა, ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნული უზუსტობა ძირითად საკონკურსო მასალებში არ ფიქსირდებოდა, რაც ვიზიტისას დადასტურდა. სასურველია სკოლამ თითოეული კონკურსის პირობები განსაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის", „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის" და დებულების შესაბამისად.

შინაგანაწესით სკოლას განსაზღვრული აქვს დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებლობის სახეები, განსაზღვრულია წახალისების სისტემა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პროცესებს არეგულირებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი". გარდა ამისა, დადასტურდა თანამშრომელთა შორის მაღალი თანამშრომლობის კულტურა — ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ერთობლივი პროფესიული აქტივობები და დირექციის მხრიდან დაკვირვების საფუძველზე მხარდაჭერის სისტემა.

დოკუმენტაცია და ფაქტობრივი მონაცემები მოწმობს, რომ სკოლაში დანერგილია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის მიდგომა, რაც გულისხმობს თანამშრომელთა საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას, მიზნობრივი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტში (შინაგანაწესი: მუხლი 25. სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება) განსაზღვრულია ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს. სკოლაში პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სპეციალური მასწავლებლის

ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება ღია კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლაში დაკომპლექტებულია საკონკურსო კომისია, რომელსაც ევალება კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დაწესებულება კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.
სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალობის პრინციპის დაცვით ხორციელდება.განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე www.teacherjobs.ge.
ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ყველა თანამშრომლის პირად საქმეში იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, კერძოდ, ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული „ნასამართლეობის“ ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, სკოლაში დასაქმებულია სულ 43 თანამშრომელი, მათ შორის — დირექტორი, 2 დირექტორის მოადგილე, 2 ხარისხის მართვის მენეჯერი და ბუღალტერი. სკოლის დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 30 მასწავლებელი, რომელთა შორის არიან: 1 წამყვანი, 1 მენტორი, 4 მოწვეული, 2 უსტატუსო (სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგნების) და 22 უფროსი მასწავლი. მასწავლებელთა შერჩევა განხორციელებულია „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებისა“ და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. წარმოდგენილია ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (EMIS), რომელიც ადასტურებს მათ პროფესიულ სტატუსს და განათლების შესაბამისობას. სკოლას დამატებით აქვს შემუშავებული დებულება სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, ასევე შრომითი ხელშეკრულებები

დეტალურად განსაზღვრავს როგორც მმართველი რგოლის, ასევე ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებს.

შესწავლილი პირადი საქმეების მიხედვით დადასტურდა, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის შერჩევისა და კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლის გამჭვირვალე და კანონთან თანხვედრაში მყოფი სისტემა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას , რომ სკოლას ჰყავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისი კადრები, წარმოდგენილი და მოქმედი დოკუმენტაცია სრულად უზრუნველყოფს პოზიციების მოთხოვნებისა და ფუნქციების შესაბამისობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დოკუმენტების გაცნობისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ორგანიზაციულ კულტურას აშენებს თანამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების საფუძველზე. სკოლის მმართველობითი სისტემა ეფუძნება უფლებამოსილების დელეგირებას, გადაწყვეტილებათა კოლეგიურ მიღებასა და თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა ორგანოებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. აღნიშნულს ადასტურებს პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების ოქმები, სადაც ასახულია ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და რესურსების გაზიარების პრაქტიკა. სკოლაში ჩამოყალიბებულია მონაწილეობითი კულტურა, რომელიც ვლინდება კათედრის თავმჯდომარეების არჩევის წესში და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში პედაგოგთა ჩართულობით. სკოლაში რეალურად მოქმედებს გუნდური მუშაობის კულტურა — ტარდება რეგულარული შეხვედრები, სადაც განიხილება სასწავლო რესურსები, შეფასების პრაქტიკები, მოსწავლეთა შედეგები და იგეგმება პროფესიული განვითარების აქტივობები (ტრენინგები, შეხვედრები, სიახლეების გაზიარებები) სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობას, გაზიარებასა და ურთიერთპატივისცემას, რაც ხელს უწყობს როგორც მართვის გამჭვირვალობას, ასევე პერსონალის მოტივაციასა და პროფესიულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

დადასტურდა, რომ სკოლა მიზანმიმართულად ახორციელებს თანამშრომელთა მოტივაციისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების პოლიტიკას. სკოლას გააჩნია შიდა წახალისების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში — „დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი “. დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა მიღწევების აღიარება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. გარდა ამისა, სკოლა ახორციელებს წარმატებული პრაქტიკის გაზიარების პროცესს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრების ერთობლივი შეხვედრებს ინტენსიურად აწყობენ, რომლის მიზანია კლასის მართვის წარმატებული სტრატეგიების გაზიარება და შემდგომი გაკვეთილებში მათი ინტეგრირება. შეხვედრების შედეგები აისახება ანგარიშებსა და დაგეგმვის ფორმებში. ასევე დადასტურდა, რომ თანამშრომელთა წახალისება/მხარდაჭერა გათვალისწინებულია სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტშიც, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებასა და მდგრადობას. სკოლა პერიოდულად ახდენს საჭიროებების განსაზღვრას და სხვა წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების გაზიარებას, რაც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ გაუმჯობესებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას , რომ სკოლას გააჩნია თანამშრომელთა მიღწევების აღიარებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების გამართული სისტემა, რომელიც მოქმედებს როგორც შიდა რეგულაციებით, ისე ბიუჯეტური უზრუნველყოფით. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას, პროფესიულ განვითარებასა და სკოლის საერთო წარმატების ზრდას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი (05.08. 2024 წ. N825 ბრძანება);
- სკოლის შინაგანაწესი (06.02.2026წ. N2/006 ბრძანება);
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ამსახველი მასალა/სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირების მექანიზმები, რომლებიც ინტეგრირებულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში, ისე პერსონალის მართვის პოლიტიკაში. წინამდებარე მექანიზმი არეგულირებს „შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის“ სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს, როგორც ხარისხის განვითარების ჯგუფი ასევე საგნობრივი კათედრები, რომლებიც ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას; პროფესიული პორტფოლიო/საქაღალდის ანალიზს; რეფლექსიასა და განმავითარებელ უკუკავშირს; რეკომენდაციების დამუშავებასა და მეთოდიკურ მხარდაჭერას. ასევე ინტერვიუებით დადასტურდა, რომ მასწავლებლები იღებენ უკუკავშირს კოლეგებისგან საგნობრივი კათედრების ფარგლებში, რასაც თან ახლავს პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა (ტრენინგები,

შიდა შეხვედრები, კოლეგიალური კონსულტაციები). პროფესიული განვითარების დაგეგმვა უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ და განმავითარებელ ხასიათს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. როგორც ინტერვიუებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი მიმართავენ რიგ შიდა მექანიზმებს პროფესიული საჭიროებების გამოსავლენად, მათ შორის: განხორციელებული დაკვირვება და უკუკავშირი; მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და თანაკოლეგიური მხარდაჭერა; პედაგოგების მიერ პროფესიული განვითარების აქტივობების მიმართვა/ინიცირება; ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით პროცესები მეტწილად ეფუძნება პრაქტიკულ საჭიროებებს, ადმინისტრაციის დაკვირვებას და მასწავლებელთა ინიციატივას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. ამისთვის მოქმედებს პროფესიული ზრდის ხელშემწყობი მექანიზმები, მათ შორის კოლეგიური მხარდაჭერის, ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის სისტემა. პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს ტრენინგებსა და პროფესიული განვითარებისთვის ორგანიზებულ შეხვედრებში, რაც დადასტურდა როგორც თანამშრომლებთან გასაუბრებით, ასევე პირადი საქმეების დოკუმენტაციით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით. სკოლაში არსებობს საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურა: ონლაინ/დისტანციური ტრენინგების გასავლელად და სასწავლო რესურსების შესაქმნელად მოწყობილია ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი სპეციალური სივრცე, რომლის გამოყენებაც თანამშრომლებისთვის თავისუფლად არის შესაძლებელი. მასწავლებელთა შორის პრაქტიკულად მოქმედებს კრიტიკული მიდგომებიც, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და მიზნობრივ პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ხორციელდება კათედრების შეხვედრებზე. აღსანიშნავია, რომ სკოლა არა მხოლოდ საშუალებას აძლევს თანამშრომლებს გაიარონ ტრენინგები, არამედ ქმნის შესაბამის გარემოსა და პირობებს მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის მექანიზმები. ადაპტაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ:

- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ახალი თანამშრომლის სამუშაო ადგილზე მოწყობაში, ადაპტაციის პროცესის მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემუშავებასა და მონაწილე მხარეებისთვის მიწოდებაზე, ახალ თანამშრომელთან რეგულარული კომუნიკაციის დამყარებაზე და მისთვის ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდებაზე;
- უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია თანამშრომლის მიზნების დასახვასა და დავალებების მიცემაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირის მიცემაზე;
- წინამორბედი - თანამშრომელი, რომლის პოზიციასაც იკავებს ახალი, მისი შემცვლელი თანამშრომელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც პასუხისმგებელია იმაზე, რომ ახალ თანამშრომელს გადასცეს და გაუზიაროს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და მენტორი - დასაქმებული, რომელიც ახალ წევრს ეხმარება სამუშაო დავალებების კარგად ათვისებაში, გადასცემს ცოდნას და უზიარებს საჭირო ინფორმაციას.

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია და კეთილგანწყობილი. სამუშაო გარემო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალ პედაგოგთა სწრაფად ინტეგრაციას. კადრების ცვლის მაჩვენებელი დაბალია, რაც მიუთითებს სტაბილურ პროფესიულ გარემოზე და გუნდის მდგრადობაზე. პედაგოგებმა აღნიშნა, რომ კოლეგიალური მხარდაჭერა, გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება წარმოადგენს ყოველდღიურ პრაქტიკას, რაც ამცირებს ადაპტაციის სირთულეებს და ზრდის პროფესიულ კომფორტს. თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი რეალურად მოქმედებს და ეფუძნება თანამშრომლობის, მხარდაჭერის და გუნდურობის პრინციპებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით ჩანს, რომ სკოლაში ამოქმედებულია წახალისების პრაქტიკა: სწავლა სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამშრომელთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს პროფესიული ზრდის კულტურის ფორმირებას. უზრუნველყოფილია შიდა პროფესიული განვითარების შეხვედრების ორგანიზება (გუნდური სამუშაო, კოლეგების დაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა), ახალი ინიციატივები მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მიერ. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა აქტიურობას, ინიციატივის გამოვლენას და პროფესიულ მოტივაციას, რაც წარმოადგენს ეფექტური ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა (05.08.2024 წ. N825 ბრძანება);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- თანამშრომელთ ადაპტაციის წესი (14.01.2026 წ. N2/002 ბრძანება);
- პერსონალის პირადი საქმეები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. ამის დასტურია, დაწესებულების მიერ შემუშავებული „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია"; „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"; „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი" ამ უკანასკნელში დეტალურად არის გაწერილი ყველა ეტაპი და შესაბამისი აქტივობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ჩატარებულმა ინტერვიუებმა და დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლა გადასულია სისტემურ ხარისხის მართვაზე, რაც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) პროცესებში მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მონაწილეებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ავტორიზაციის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში იდენტიფიცირებული და აღწერილი იყო მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სხვადასხვა დოკუმენტში (სკოლის დებულებაში, შრომით ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში). ასევე დაფიქსირდა ფუნქციური მმართველი სტრუქტურების (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) აქტიური როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე ვიზიტისას დადასტურდა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ძალაშია და მმართველობითი და საგანმანათლებლო პროცესები პრაქტიკაში რეალურად ფუნქციონირებს. წარმოდგენილ მასალებში ასახულია: მმართველობითი პროცესები (დირექციის, ადმინისტრაციის, მმართველი საბჭოების ფუნქციები); ძირითადი პროცესები (საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, დისციპლინური წარმოება, მოსწავლისა და თანამშრომლის ადაპტაცია); დამხმარე პროცესები (პერსონალი მართვა, დოკუმენტბრუნვა, შრომითი ურთიერთობები). დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია, ხოლო პრაქტიკაში მათი განხორციელება უზრუნველყოფს სკოლაში სწავლისა და მართვის უწყვეტობასა და გამჭვირვალობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას აქვს შემუშავებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“ ასევე სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის და მშობლების უფლებამოსილება, გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.
სკოლას შემუშავებული აქვს ასევე „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის/განცხადების პროცედურები, ვადები. დოკუმენტი ასევე გულისხმობს საჩივრის წარდგენისა და განხილვის პრინციპებს (ობიექტურობა, სამართლიანობა); წარდგენის ფორმებს (პირადად, ფოსტით, ელექტრონულად); განცხადებისა და საჩივრის განხილვის ვადებს (10 სამუშაო დღე, 15 დღე, 3 თვე, საჭიროების შემთხვევაში); დისციპლინური წარმოებისას გასაჩივრების წესს; მასწავლებლის ვაკანსიის კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურას. ამავე დოკუმენტით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. გასაჩივრების მექანიზმების შესახებ სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებგვერდზე და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, საჩივრის განხილვის პრაქტიკა და საჭიროება ჯერ სკოლას არ ჰქონია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით. სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვისათვის შემუშავებულია და ვებგვერდზე საჯაროდ წარმოდგენილი- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, სადაც დეტალურადაა გაწერილი თითოეული სეგმენტის უფლებები. ასევე პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურვადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას უმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „შპს სკოლა-ლიცეუმ ცისკარის“ დებულება (14.01.2026წ. N2/003 ბრძანება);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/ge ;
- სკოლის შინაგანაწესი (06.02.2026წ. N2/006 ბრძანება);
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (22.07.2024 წ. N803 ბრძანება);
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (30.07.2024 წლის 30 ივლისის N822 ბრძანება)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას კომუნიკაციის სისტემებით უზრუნველყოფილი აქვს მრავალარხიანი, მუდმივი და ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაცვლა. ამისთვის შემუშავებულია “მშობელთან ურთიერთობის დებულება“, აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა; მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტებისა და აკადემიურ მოსწრების თაობაზე; მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში; სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა; სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა. დოკუმენტში გაწერილია ის პროცედურები რომელიც ხელს უწყობს აღნიშნული მიზნების მიღწევას. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; მშობლებთან

ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით. სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც თავსდება საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლა პერიოდულად აწვდის ყველა სახის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს ელექტრონული ჟურნალის, სკოლის ვებგვერდის, სოციალური ქსელის სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს "მშობელთან ურთიერთობის დებულება ", რომლის თანახმად მშბლებთან კომუნიკაციაზე და მათ ჩართულობაზე პასუხისმგებელია, როგორც სკოლის ადმინისრაცია ასევე კლასის დამრიგებელი. სკოლის მიერ შემუშავებული „მშობელთან ურთიერთობის დებულების"მიხედვით, სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით და მშობლებთან გაფორმებული მოსწავლის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მშობლისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებას, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით"დადგენილი მოთხოვნების გათვალსიწინებით. ასევე, დადგენილი ოფიციალური წერილობითი მიმართვის გარეშეც, მშობელს შესაძლებლობა აქვს, თავისუფლად დაამყაროს წერილობითი (სკოლის ან/და სკოლის შესაბამისი თანამშრომლის ელექტრონული ფოსტის ან სოციალური გვერდის საშუალებით), სატელეფონო ან პირადი კომუნიკაცია სკოლის შესაბამის თანამშრომელთან (დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ხარისხის მართვის მენეჯერები, მოსწავლის დამრიგებელი, მასწავლებელი და/ან სხვა). კლასის დამრიგებელი წლის დასაწყისში აცნობს მშობლებს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება და მართვა. მაგ: დასწრების აღრიცხვა, ინფორმაცია მოსწავლეების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შესახებ, ინფორმაცია სასკოლო აქტივობების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სტრუქტურული და კოლეგიური ერთეულები, რომელთა მუშაობაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კოლეგიურ ორგანოებში თითოეულ წევრს აქვს თანაბარი ხმის, იდეის, შენიშვნისა და რეკომენდაციის უფლება. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულები აქტიურად ფუნქციონირებს და მათი მუშაობა უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი (06.02.2026წ. N2/006 ბრძანება);
- მშობელთნ ურთიერთობის დებულება (19.07.2024 წ. N802 ბრძანება)
- პედაგოგიური საბჭოს ამსახველი მასალა;
- საგნობრივი კათედრების მუშაობის ამსახველი მასალა;
- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/ge

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად „შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი“ ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლს ახორციელებენ საგნის მასწავლებლები და კლასის დამრიგებელი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისშივე მშობელს აწვდის ინფორმაციას, მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენისას მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
- სკოლის შენობა და ტერიტორიის პერიმეტრი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების და საჭირო რაოდენობის ვიდეო სათვალთვალო კამერებით (შიდა-7 გარე-4, რომელთაგან ორი ეკუთვნის საპატრიარქოს). მონიტორინგი ხორციელდება დაწესებულების სრულ პერიმეტრზე. ვიდეოჩანაწერის შედეგად მიღებული ციფრული ინფორმაცია შესაბამისი ჩანაწერით ინახება 30 დღის განმავლობაში;
- სკოლის ეზოში მებარეობს მოქმედი ეკლესია. სკოლის ეზო არაა გამიჯნული ეკლესიისაგან. ეკლესიისა და სკოლის ეზოს საერთო სივრცე ერთიანი ღობითაა დაცული. სკოლის წარმომადგენლების თქმით, ეკლესია ძირითადად ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის შემდგომ და უქმე დღეებში. დღის პირველ ნახევარში მრევლი ნაკლებად ფიქსირდება. ვიზიტის პერიოდში, თვალში საცემი არ იყო უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება, თუმცა, <u>ვინაიდან სკოლის ტერიტორია არაა გამიჯნული მოქმედი ეკლესიის ტერიტორიისგან, ვერ ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა სკოლის ეზოს ტერიტორიაზე, რომელიც ამ ეტაპზე საერთო სივრცეს წარმოადგენს;</u>
- სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლა დასაშვებია ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობით. დაწესებულებაში შემოსული პირების აღრიცხვა ხორციელდება სკოლის ვიზიტორთა ჟურნალში, კონტროლდება გაკვეთილის დროს მოსწავლეთა უნებართვოდ გასვლა სკოლის შენობიდან;
- დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა;
- სკოლის შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ელოდება შესაბამის რეაგირებას. <u>სკოლის შენობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, სასურველია სკოლამ დროული ნაბიჯები გადადგას</u>;

- დაწესებულებას ჰქონდა საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები (გადამუხტული);
- სკოლამ წარმოადგინა „შპს მშენ-ექპერტ+“ -ის დასკვნა შენობის მდგრადობაზე, დასკვნის თანახმად, სკოლის შენობები უსაფრთხოა ექსპულატაციისათვის;
- დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება „უსაფრთხოების მენეჯმენტის ჯგუფთან“ სკოლისთვის შრომის უსაფრთხოების მომსახურების თაობაზე;

<u>სკოლის ტერიტორია არაა გამიჯნული მოქმედი ეკლესიის ტერიტორიისგან. არაა დაცული უცხო პირთა შესვლისგან, შესაბამისად იზღუდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.</u>

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2027 წლის ივნისი, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ტერიტორიის გამიჯნვა მოქმედი ეკლესიის ტერიტორიისგან შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში (2027/06 მდე). ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოუდგინა “პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი”. რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მაცივარი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გასაშლელი გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა.

აღსანიშნავია რომ სკოლას ექსპერტთა ვიზიტამდე არ ჰყოლია ექიმი და გარკვეულ ფუნქცია-მოვალეობებს, პრივატულად ითავსებდა ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც სამედიცინო განათლება ჰქონდა. გასაუბრებით დადგინდა რომ შემთავსებელი პირი მხოლოდ მედიკამენტების გაცემას ახორციელებდა და არ დადასტურდა აღნიშნული პირის მიერ, რამდენად ხდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი მოთხოვნების დაცვა. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ექიმის აყვანის მტკიცებულებები. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022

წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სასურველია სკოლამ- გაიაზროს კვალიფიციური და სტაბილური სამედიცინო პერსონალის არსებობის აუცილებლობა სკოლაში, გრძელვადიან პერსპექტივაში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკითხს და უზრუნველყოს სკოლისათვის არსებული კადრით სტაბილური უზრუნველყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრებიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვილს წესები და პირობები", ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა აღნიშნული დოკუმენტის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმების პროცესები.

ამასთან სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასევე უზრუნველყოფს შინაგანაწესისა და სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტების შესაბამისად. კონტროლდება სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლა-გამოსვლა, თუმცა სკოლის გარე ტერიტორიაზე, არნიშნული უსაფრთხოება არაა დაცული, რადგან სკოლა, ეზოს ნაწილში იზიარებს მოქმედი ეკლესიის ტერიტორიას, რითაც ვერ ხდება უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის კონტროლი. ვინაიდან სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის გარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და არ აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები", განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმებული.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ინდიკატორ 3.4.1.3 თან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფს ვადად მითითებული იყო 2027 წლის ივნისი, შესაბამისად ინდიკატორი რომელიც არგუმნეტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება" სკოლამ უზრუნველყოს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების", განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში (2027/06 მდე). ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები და სტრუქტურული ერთეულები:

- დამრიგებლები ეფექტურად ახორციელებენ პრევენციულ მუშაობას — ტარდება სადამრიგებლო საათები, რომლებიც მიმართულია ძალადობის პრევენციაზე, ბულინგის აღკვეთაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ტოლერანტობისა და ინკლუზიური გარემოს პოპულარიზაციაზე;
- სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, , რომლის მიზანია მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა. ჯგუფი დებულების თანახმად, მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს;
- ,,ადაპტაციის წესში" გაწერილი აქტივობები დახმარებას უწევს არამარტო პირველ კლასელებს და ახალ მოსწავლეებს, არამედ ეხმარება საერთოდ მოსწავლეებს სასწავლო გარემოში ადაპტირების პროცესში;.
- სკოლას ყავს ფსიქოლოგი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ინდივიდუალური თუ გუნდური კონსულტაციები მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის ხელს უწყობს შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეთათვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საჭირო მეთოდური მითითებებით, სხვადასხვა სახის აქტივობებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებთან საუბრისას მოსწავლეები და მშობლები ხაზს უსვამდენენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს საშტატო განრიგით განსაზღვრული 3 დამლაგებელი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და უზრუნველყოფის მექანიზმი", რომელიც შემუშავებულია საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანების შესაბამისად და მიზნად ისახავს რეკომენდაციის მიერ დასახული ამოცანების ლოკალურ დონეზე, გადაწყვეტას.სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ იზოლირებულ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, ხოლო პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დასაქმებული ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“ მიხედვით მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, სამართლიანად, კანონიერად, კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის. აუცილებელია დამუშავების პროცესის უსაფრთხოდ მიმდინარეობა, მათ შორის უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების დაცვა. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა

განადგურდეს/ დაიბლოკოს/ წაიშალოს. დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, ფორმები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს სკოლის სასკოლო საზოგადოების წევრთა — მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა — პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა თავის საქმიანობას ძირითადად ახორციელებს მონიტორინგის ფორმით, რათა მიმდინარე პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად. სკოლაში დირექტორის მიერ დელეგირებულია უფლებამოსილებები დირექტორის მოადგილეებზე და ხარისხს მართვის მენეჯერებზე, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში, თავიანთი კვალიფიკაციის, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების მიზნით, მონიტორინგს უწევენ როგორც სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციულ თუ სხვა საკითხებს.

მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხმად, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად ხდება საჭიროებების კვლევა ან/და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია, აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირები წარადგენენ მუშაობის ამსახველ ანგარიშებს და სამსახურეობრივ ბარათებს, რომლებიც ერთ-ერთი ინსტრუმენტია პროცესების შეფასების.

სკოლაში დირექტორის მხრიდან ასევე ხდება უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მუდმივი ინფორმირება და მათი საქმიანობის კონტროლი, რომელიც თავის მხრივ, პროცესებზე დაკვირვებით ახორციელებს შემდგომ ნაბიჯებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ (13.08.2024წ.);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება (22/08/2024 წ; № MIA 5 24 02567770);
- „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“;

- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (23.08.2024 წ. N833 ბრძანება);
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები (24.07.2024 წ. N816 ბრძანება);
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (19.07.2024 წ. N800 ბრძანება)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულებამ წარმოადგინა 16/01/2026 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, სკოლის მისამართია: ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქუჩა, N 36ა. უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 01 12 07 013/020. მიწის დაზუსტებული ფართობია 1250.00 კვ.მ. სკოლა 12.01.2026 წლის იჯარის ხელშეკრულების თანახმად სარგებლობაში ფლობს არსებულ ფართს და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს 10 წლის ვადით, ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სკოლის შენობა ჯამში ოთხი ნაგებობისგან შედგება: ერთი ძირითადი სასწავლო კორპუსისგან (სამი სართული); ერთი დამატებით სასწავლო კორპუსისა, სატრაპეზო/სასადილოსგან და ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი სივრცეებისგან (ორი სართული); ერთი ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ლაბირატორიის და ხელოვნების/მუსიკის კაბინეტისაგან (ერთი სართული) და ერთი სპორტული დარბაზისაგან (ერთი სართული). არსებულ ნაგებობებში ჯამში ფუნქციონირებს: 15 საკლასო ოთახი; 2

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; 1 კომპიუტერული ლაბორატორია; სამედიცინო ოთახი; დირექტორის კაბინეტი; კანცელარია; სამასწავლებლო; სპორტული დარბაზი გასახდელებით; სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის (მათ შორის შშმ პირებისთვის); სააქტო დარბაზი; დამხმარე სათავსოები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და თანამშრომლების მიერ რესურსების გამოყენების პირობები და პროცედურები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში და უზრუნველყოფს სკოლის საჭიროებებს. ბიბლიოთეკის მუშაობის წესები, პასუხისმგებელი პირი, სამუშაო გრაფიკი და ხელმისაწვდომობა უცვლელად ინარჩუნებს სტანდარტთან შესაბამისობას. სკოლაში ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე, გამოიყენება როგორც სწავლების, ისე რესურსების შექმნისა და ინფორმაციული მუშაობისთვის. სკოლის შენობაში არსებული სპორტული დარბაზი და საკონფერენციო დარბაზი ასრულებენ ფუნქციურ დანიშნულებას. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო წიგნადი ფონდით. დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკაში, რაც ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მის ხელმისაწვდომობას. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ ისინი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას, ასევე აწარმოებს ელექტრონულ კატალოგს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სსსმ პირთა უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას, კერძოდ- საფეხურებზე გადაადგილებისთვის დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსი, შენობის შიდა ბარიერებისთვის ასევე დასაწყობებულია ასაწყობი პანდუსები, სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლა მომსახურების ხელშეკრულებით თანამშრომლობს ფსიქოლოგთან, რომელიც მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად უწევს სკოლას დახმარებას.

ვიზიტის პერიოდში, სასკოლო სივრცეში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც. კერძოდ, შენობების შესასვლელები (გარდა სპორტული დარბაზისა) მიწის დონიდან ნახევარი საფეხურის დონეზეა აწეული და არ არის აღჭურვილი პანდუსით, რაც არ ქმნის ეტლით მოსარგებლე პირებისათვის ხელსაყრელ გარემოს. ხოლო სპორტულ დარბაზში ასასვლელი სივრცე, რომელიც სკოლის ეზოს ტერიტორიის ყველაზე მაღალ ნაწილს წარმოადგენს, საჭიროებს რამდენიმე საფეხურის ავლას და არ არის ადაპტირებული სსსმ პირებისთვის. ასევე, სკოლაში არ არის გამოყოფილი რესურსოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას შესაბამისი სივრცის გამოყოფის შესაძლებლობა აქვს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე.

<u>ასევე მოძრავი პანდუსები მესამე სართულზე გადასაადგილებლად არც თუ ისე ხელსაყრელ გარემოს ქმნის, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად **სასურველია** დამონტაჟდეს ლიფტი.</u>

ვინაიდან სკოლა სრულად არაა ადაპტირებული, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2026 წლის 15 სექტემბერი, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სრულად ადაპტირება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.06.2026.- მდე). ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლას სოციო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებებაში. სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი და ბიბლიოთეკა აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ ციფრულ/ინტეგრირებული აქტივობები. საკლასო ოთახებში რეგულარულად ტარდება პროექტების პრეზენტაციები. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოფენები და სხვადასხვა პროექტების შედეგები, რაც დამატებით აღძრავს მოტივაციას და ხელს უწყობს ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (16/01/2026წ,);
- იჯარის ხელშეკრულება (12.01.2026 წ);
- ბიბლიოთეკის დებულება (10.07.2024 წ. N790 ბრძანება);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით (10.07.2024 წ. N791 ბრძანება);
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი (10.07.2024 წ. N793 ბრძანება)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ინტერნეტით. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. გარდა ამისა, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას და გამოყენებას. ადმინისტრაციის განმარტებით თითქმის ყველა პედაგოგის მიერ ხდება საგაკვეთილო სივრცეში კომპიუტერების/მონიტორების გამოყენება. სკოლას სარგებლობაში აქვს 31 კომპიუტერი, აქედან 7 ლეპტოპი, 15 პერსონალური და 9 დასაწყობებული. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია მონიტორები-ჯამში 17 ერთეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა „მატერიალური რესურსის სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვითაც სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს აღნიშნული სივრცეებისა და რესურსების სარგებლობის პრინციპებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება (10.07.2024 წ. N790 ბრძანება);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით (10.07.2024 წ. N791 ბრძანება);
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი (10.07.2024 წ. N793 ბრძანება);
- შესყიდვის/ფლობის აქტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი". საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და შენახვის ერთიანი პროცედურები. სკოლის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ნომენკლატურაზე დაყრდნობით, დოკუმენტაცია სწორად კლასიფიცირდება (შემოსული, გასული კორესპონდენცია, საკადრო და საერთო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები). ბრძანებები სისტემატიზებულია და ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას აქვს აკინძული, დანომრილი, დალუქული და დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული სარეგისტრაციო ჟურნალები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდოობასა და მთლიანობას. ინახება როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში წარმოებულია ბუღალტრული დოკუმენტაცია. გარდა ტრადიციული ფორმებისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას. ეს ხელს უწყობს დოკუმენტების მართვის პროცესის გამჭვირვალობას, სწრაფად აღრიცხვას და ეფექტიან კომუნიკაციას. საქმისწარმოების პროცესს უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად არეგისტრირებს დოკუმენტებს, ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს, ორგანიზებას უწევს საჯარო ინფორმაციის გაცემას და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს კორესპონდენციას ადრესატებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - School Management Systems-ს, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია და ცნობები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპონდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტას ზე cisakari1@gmail.com. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს რეგისტრირებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge, რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით. პროფილში ასახულია სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის სრული მონაცემები: მისამართი, იურიდიული ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. პროფილში შეყვანილია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები. სისტემა გამოიყენება მოსწავლეთა მობილობის, ადმინისტრაციული განაწილების და საკონტაქტო ინფორმაციის განახლებისთვის. სისტემაზე წვდომა გააჩნია საქმისმწარმოებელს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვის უწყვეტობას და ინფორმაციული რესურსების დროულ განახლებას. შესაბამისად, დასტურდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელი უწყებებისთვის ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესის ეფექტურობას. სკოლა თანამშრომლობს შესაბამის რაიონულ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც წარმართავს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან.

აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც კონსულტაციებსა და ნებართვების შეთანხმებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური, ადმინისტრაციული ან სტრუქტურული ხასიათის საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (21.08.2024 წ. N831 ბრძანება);
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ხელშეკრულება (04/09/2025წ.);
- ზოგადი განათლების მართვის სისტემა Eschool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებსა და პლატფორმებს. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, სადაც ხედავენ აკადემიურ პროგრესს და მასწავლებელთა კომენტარებს. პედაგოგიურ საბჭოზე პედაგოგებს რეგულარულად ეცნობებათ სასკოლო სიახლეები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვრება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ახორციელებს მშობლებთან მუდმივ კომუნიკაციას. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ საკლასო მესენჯერ-ჯგუფები, რაც მოსწავლეებთან და მშობლებთან ეფექტიან ურთიერთობას უზრუნველყოფს. ინფორმაციის გაცვლა ასევე მიმდინარეობს მშობელთა კრებების დროს. სასკოლო სიახლეები სისტემატურად ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ასევე გამოიყენება ოფიციალური ებგვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია მიზნობრივად და უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სანდოა და მისი უტყუარობა დასტურდება სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მის საქმიანობასთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდოს მხოლოდ სანდო და დამოწმებული წყაროებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და გაანალიზებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, მათ შორის მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისგან. უკუკავშირის მიღების პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე საკომუნიკაციო არხი: სოციალური ქსელები, ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ასევე პირისპირ შეხვედრები. სკოლა უზრუნველყოფს, რომ შემოსული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდგომ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებასა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი - https://cisakari.ge/ge ,რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად პლატფორმას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე და მოცემულია საჯარო მონაცემები სკოლის მისიის, ხედვის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო გარემოსა და აქტივობების შესახებ.
სკოლის შესახებ საბაზისო საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზეც - skolebi.emis.ge-ზე განთავსებულ პროფილში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სკოლის გამჭვირვალობას. სკოლა ამჟამად ახორციელებს სწავლების პროცესს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ვებგვერდზე სავალდებულოა ინფორმაციის არსებობა ქართულად - რაც სრულად დაკმაყოფილებულია. სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის პერიოდულ განახლებას და საინფორმაციო შინაარსის ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **ინდიკატორი ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდი https://cisakari.ge/ge შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამსახველი მასალა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/;
- სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100054368747140

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას გადადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსი მეტნაკლებად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს. სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ფინანსური სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს სკოლის ფინანსურ მდგრადობას. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის ძირითადი შემოსავალია მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, ხარჯები და სკოლის პრიორიტეტები. სასურველია სკოლამ ბიუჯეტის გაწერისას გაითვალისწინოს სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის ყველა დანახარჯი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას გააჩნია ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომლის შესრულების და მონიტორინგის პროცესი მუდმივად ხორციელდება. რაც დასტურდება ფინანსური ანგარიშების გაცნობით და დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრების შედეგად. სკოლის ფინანსების მართვის პროცესი შესაბამისია სკოლის დებულებაში გაწერილ ფუნქცია-მოვალეობებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026-2027 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- „შპს სკოლა-ლიცეუმ ცისკარის“ დებულება (14.01.2026წ. N2/003 ბრძანება);
- ბუღალტრის შრომითი ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს ყველა რეგულაცია,რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი უზრონველყოფილი იქნას თითოეული მოსწავლის უფლების დაცვით კანონის ფარგლებში. კონკრეტულად სკოლას დამტკიცებული აქვს- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის, მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის, სტატუსის შეწყვეტის, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის, საფეხურის დაძლევის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ხდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს სადისციპლინო კომიტეტიც. თუმცა, მიმართვიანობა არ ფიქსირდება. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას, ამ მიზნით სკოლას დაქირავებული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერიც, რომლის ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია ასევე სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის დებულების (ბრძანება N 2/003 14-01.2026წ.) მუხლი N 18-ით. ამავე დებულების მუხლი N 22 კი განსაზღვრავს მოსწავლეთა, ისევე როგორც მშობელთა და მასწავლებელთა უფლებებს, რომელიც მჭიდრო კორელაციაში „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონთან.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისადა გარანტიების უზრუნველყოფა ცალსახად იკითხება სკოლის შინაგანაწესშიც, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც მათ დარღვევაზე რეაგირების საკითხები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

2025-26 სასწავლო წლის დასაწყისში კი მშობლებთან სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება, რომლიც არეგულირებს მხარეებს შორის ურთიერთობებს საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის თანახმად, გვაცნობს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებს,რაც კიდევ ერთი ნათელი მტკიცებულებაა იმისა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფით. შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

როგორც სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებიდან და ინტერვიუირებიდან ირკვევა სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო რეგულაციების შექმნის პროცესში. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტები -სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრულია სკოლის ფოიეში. ამასთანავე დოკუმენტები განთავსებულია

სკოლის ვებ-გვერდზე. წლის დასაწყისში გამართულ მშობელთა კრებებსა და სადამრიგებლო საათზე დამრიგებლები მშობლებსა და მოსწავლეებს წარუდგენენ აღნიშნულ დოკუმენტს. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ამ მიმართულებით ინფორმირებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლს/მშობელს და სკოლას შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელსაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბრის თვეში) ხელშეკრულება არის გამჭვირვალე, მკაფიო, ყველასთვის გასაგებ/ არასპეციფიკური ტერმინების ენაზე ფორმულირებული. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეების შესახებ ინფორმაცია (რეკვიზიტები), ხელშეკრულების საგანი, მომსახურების სახეები, მხარეების ულფება-მოვალეობები/ ვალდებულებები. ხელშეკრულებაში ასევე მკაფიოდ იკითხება სკოლის მიერ გაწეული მომსახურეობის ღირებულება და გადახდის გრაფიკი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი(ბრძანება N 2/06 (06/02/2026 წ.);
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი(30.07.2024 წ. N822 ბრძანება) ;
- მშობელთნ გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის დებულება (ბრძანება N 2/003 14-01.2026წ.)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, დოკუმენტი შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტში იკითხება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება (მუხლი N4) მობილობის განხორციელების პროცედურები (მუხლი N7) კლასიდან კლასში გადაყვანა (მუხლი N 8) და ა.შ. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა განხორციელდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მქონე მოსწავლის ჩარიცხვა. ამ ყოველივეს გათვალისიწნებით დგინდება, რომ სკლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების აღმწერი მექანიზმები მჭიდრო კორელაციაშია კანონით დადგენილი წესთან. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება სკოლაში, კლასში არსებული თავისუფალი ადგილების გათვალისწინებით. ამორიცხვა ხდება მობილობის საფუძველზე, მშობლის განცხადებისა და მიმღები სკოლის მოთხოვნით. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე ან 45 დღის განმავლობაში არ გამოცხადების შემთახვევაში გათვლისწინებული პროცედურების შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში გარდა სავალდებულო სასკოლო საგნების სწავლების, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის სარეკომენდაციო საათობრივი ბადით, ფუნქციონირებს რამდენიმე დამატებითი მომსახურეობა, როგორიცაა; ჭადრაკის სწავლება (პირველიდან მე6 კლასის ჩათვლით), მუსიკის წრე/გაკვეთილები, მხატვრული ტანვარჯიში და თეატრალური კლუბი (მეორე კლასში). თუმცა, აღნიშნულ მომსახურეობა გათვალისწინებულია მოსწავლეთა მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან სასწავლო წლის დასაწყისში დადებულ ხელშეკრულებით

განსაზღვრულ საფასურში და არ მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას. აღნიშნულ დამატებით საგაკვეთილო მომსახურეობაზე ინფორმაცია გასაჯაროებულია სკოლის ვებგვერდზეც და დამრიგებელთა მიერ გამართულ სასწავლო წლის პირველ საინფორმაციო მშობელთა კრებებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული სახით. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი და ვებ.გვერდი სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებითა და სკოლის სოციალური ქსელისა და ვებგვერდის გაცნობით. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/;
- სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100054368747140;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- შინაგანაწესი (ბრძანება N 2/06 (06/02/2026 წ.);
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (ბრძანება N 02/057)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების (დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი და ა.შ) მშობელთან და მოსწავლესთან კომუნიკაცია, როგორც სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ასევე მოსწავლის კლასის წინაშე წარდგენამდე. სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პედაგოგებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის ადამპტაციის წესი" დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ადაპტაციაზე ზრუნვა სწავლის დაწყებამდე გაცილებით ადრე იწყება. სკოლა არ ელოდება სირთულეების წარმოქმნას, ნაცვლად ამისა, ფსიქოლოგი წინასწარ სწავლობს პირველკლასელთა სასკოლო მზაობას, სოციალურ-ემოციურ მდგომარეობასა და ინდივიდუალურ საჭიროებებს, ამ მიზნით სკოლა მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელს ავსებინებს სპეციალურ კითხვარებს. ამას ემატება ე.წ. „საორიენტაციო ვიზიტები ", რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, წინასწარ გაუშინაურდეს ფიზიკურ გარემოს, რაც სწავლის დაწყების მომენტში სტრესის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ითვალისწინებს ადაპტირებას მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის, დამრიგებელი ვალდებულია პირველივე გაკვეთილზე უზრუნველყოს მათი წარდგენა და გააცნოს სკოლის შინაგანაწესი. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლამ წარმოადგინა რემედიაციის ამსახველი დოკუმენტი (ქიმია-მე-9 კლასი), რომელითაც ცალსახად იკითხება, რომ მოსწავლის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების მიზნით , სკოლას აქვს პრაქტიკა განახორციელოს თითოეული მოსწავლის საჭიროებას მორგებული რემედიაციის პროგრამა. ასევე, მშობელთა და მოსწავლეებთა ინტერვიუმ ცხადყო, რომ მასწავლებლები სისტემატიურად უტარებენ დამატებით კონსულტაციებს ოლიმპიადაში მონაწილე თუ დამათავრებელი კლასის მოსწავლეებს.შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების დროულ ინფორმირებას სკოლაში დაგეგმილი, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. ამასთან, სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს დებულება, სადაც ვხვდებით მუხლს N 22 "მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და თავისუფლებები". აღნიშნული მუხლით რეგულირდება მოსწავლეთა და მშობელთა სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმირებისა თუ საჩივრის განხილვის წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის თვითმართველობის მოქმედი რგოლის ინიციატივები მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. ასევე, როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების ინიციატივები, რომლებიც არაფორმალური აქტივიბების განხორციელაბას ეხება, მუდამ წახალისებულია. სკოლას შემუშავებული აქვს დებულება, სადაც ვხვდებით მუხლს N 22" მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და თავისუფლებები", აღნიშნული მუხლით რეგულირდება მოსწავლეთა და მშობელთა სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმირებისა წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

როგორც სასკოლო სასწავლო პროგრამის შესწავლამ და მოსწავლეთა, მშობლებთა და მასწავლებელთა ინტერვიუემბმა ცხადყო, სკოლას აქვს კარგად ორგანიზებული სისტემა სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გამორკვევისა და შესაბამისად მათი ინტერესების სასკოლო ცხოვრებაში ასახვის. მონაცემების მოსაგროვებლად სკოლა იყენებს სხვადსხვა საშუალებებს, როგორიცაა: ინდივიდუალური გასაუბრება, დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი, კვლევა. სკოლაში ხდება სამოქმედო გეგმის (როგორც სემესტრული ასევე წლიური) მონტორინგი, რომლის საფძველზეც იგეგმება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (19.07. 2024 წ. N798 ბრძანება);
- მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (19.07. 2024 წ. N799 ბრძანება) ;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კითხვარების ფორმა;
- 2025-2025 სასწავლო წლის და 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სამოქმედო გეგმის ანგარიში

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, სხვადასხვა საშუალებით ზრუნავს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერაზე. კონკრეტულად, მოსწავლეებს უტარდებათ პროფორიენტაციის გაკვეთილები, სტუმრობენ უნივერსიტეტებს (ვიზიტი სეუ-ში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტში და სხვა). სკოლა ასევე თანამშრომლობს კოლეჯ „ამაგთან“. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯი სისტემურად აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც სასწავლებლის წარმომადგენლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას პროფესიების შესახებ. ასევე სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება თუ სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებლები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხს:

- **შიდაორგანიზაციული** - საკლასო შეხვედრები და ჯგუფური კონსულტაციები, სადაც ხდება კარიერული შესაძლებლობების განხილვა;
- **ციფრული რესურსები** - სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდები, სადაც ვრცელდება ინფორმაცია საგანმანათლებლო სიახლეებისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად მოსწავლეებთან აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. კითხვარები შექმნილია მშობელთათვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნა-განახლებაში კი დიდ როლს თამაშობს კათედრების მიერ მომზადებული ანგარიშებიც, რომელშიც მკაფიოდ იკითხება გასული სასწავლო პერიოდიდან და მოსწავლეთა შემეჯამაბელი დავალებებისგან მიღებული მონაცემების ანალიზი. შესაბამისად **, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის 2024–2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- შპს სკოლა -ლიცეუმი ცისაკარის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №1 14.01.2026წ.;
- 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში (I სემესტრი — 2025 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი);
- სადამრიგებლო პროგრამები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილია ყველა საკითხი რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე ვხვდებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მასწავლებლების მიერ.შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, როგორც 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული, სკოლას გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მნიშვნელობა.შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (ინკლუზიური განათლება)

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულის, კვების, ჭადრაკისა და თეატრალური დასის არასავალდებულო მომსახურეობას.

მოსწავლეთა კვებითი უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი სასადილო, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, მეიჯარესთან ხელშეკრულება სკოლას ახალი გაფორმებული აქვს, ვიანიდან სკოლის ოპერატორთან მუშაობის ვადა მოიცავს ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდს,სკოლამ ვერ წარმოადგინა სუბიექტის სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმების აქტი, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ბიზნესოპერატორმა წარმოადგინა აღიშნული სამსახურის მხრიდან სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერი მისი სხვა, მოქმედ ობიექტზე შემოწმების აქტი, რაც სკოლისთვის ნდობის საფუძველი გახდა. ასევე, ვერ დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების“ დაცვის საკითხები.

<u>სასურველია სკოლამ დროულად უზრუნველყოს კვებითი მომსახურების (ბიზნეს ოპერატორის) მარეგულირებლის მხრიდან შემოწმება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების“ დაცვის უზრუნველყოფა. ს</u>ხვა არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ქმნის

ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოსთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას აქტიურად ამუშავებს ვებ. გვერდს, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო სერვისებთან დაკავშირებით. ამასთანავე, სკოლის პირველ სართულზე საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია დამატებითი, არასავალდებულო მომსახურების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა კლასის დამრიგებლები ინტენსიურად ახდენენ მშობელთა ინფორმირებას მშობელთა კრებებზე. ნებისმიერ მსურველს აქვს უფლება და შესაძლებლობა ჩაერთონ სკოლის მიერ შეთავაზებულ სერვისებში.შესაბამისად,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები;

- მშობელთა კრებების ოქმები;
- ვებ-გვერდი https://cisakari.ge/;
- სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100054368747140

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, რომელშიც ცალსახად იკითხება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა. როგორც აღნიშნული დოკუმენტში ვკითხულობთ, თითოეული კათედრა ახდენს საგნობრივი წლიური პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო წლის ბოლოს იქმნება თითეული საფეხურის ყველა საგნის სამოქმედო გეგმა. იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა,საგნობრივიკურიკულუმის შქმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ გასული სასაწავლო წლიდან მოგროვებულ მიგნებებს, მშობელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებულ კითხვარების მონაცემებს და პედაგოგოების მიერ კათედრაზე გაკეთებულ მოხსენებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე ხდება დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების შერჩევა და ხორციელდება დიაგნოსტიკური წერები საგნების მიხედვით მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, გაანალიზების და ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით.კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა თუ პროექტებს.შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა საგნის ინტეგრირებული (რუსული ენა, ბიოლოგია,,ინგლისური ენის, ქართულის, ისტორიის,, ხელოვნების),თუ საგანსპეციფიკური პროექტები (ხელოვნება როგორც პროტესტის გამოხატვის საშუალება,რუსული ენა-წელიწადის დროები(«Времена года»)მუსიკა - ანტონიო ვივალდის სავიოლინო კონცერტების ციკლი “წელიწადის დრონი”

რომელთა არჩევა მოხდა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე და ეხმიანება სოციუმისა და თანამედროეობის . როგორც მოწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, სკოლა ხშირად ატარებს გამოკითხვას კონფიდენციალურობის დაცვით, რათა მოხდეს სკოლის თემის საჭორებების გამორკვევა და შესაბამისად სასკოლო კურიკულუმში მათი ასახვა. ასევე, სკოლას აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას აირჩიონ მეორე უცხოური ენები (რუსულიენა, გერმანული ენა) და საშ. საფეხურზე კი არჩევითი საგნები,რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ითვალისწინებს სკოლა მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 835) რომელიც დეტალურად აღწერს მექანიზმრს,რომლის მიხედვითაც ახდენს სკოლა კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებას. სწორედ აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კათედრებზე განხილული საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში თითოეული კათედრის პედაგოგთან ერთად ჩართულნი არიან მშობლები(კითხვარების საშუალებით) და მოსწავლეები. სწორედ მშობელთა ჩართულობით, წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით პირველ კლასში მშობლებმა დამრიგებელთან თანამშრომლობით, მოსწავლეებს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წაუკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხული წიგნების შესახებ და დახატეს პერსონაჟები. ასევე, მშობელთა ჩართულობით ხდება მოსწავლეებთან შეხვედრები მშობლების საკუთარი პროფესიის გაცნობის მიზნით. მოსწავლეები კი აქტიურად ირჩევენ პროექტული დავალებების თემებს და ფორმატებს, რაც ცალსახად ამტკიცებს, რომ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 835, დანართი N42) გვეუბნება, რომ სკოლა ახდენს სასწავლო პროგრამის ამსახველი კურიკულუმის გასაჯაროებას სასკოლო საზოგადოებასთან სკოლის საიტის მეშვეობით, მშობელთა კრებებზე .ასევე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერვიუებიდან შევიტყვეთ, რომ თითოეული საგნის პედაგოგი, მოსწავლეებში ავრცელებს კომპლექსური დავალების ბარათებს, სასწავლო წლიური პროგრამის ეტაპობრივად გაცნობის მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული საგნის პედაგოგი კათედრის სხდომებზე ყოველი თემის დამუშავებისასვალდებულია პარალელური კლასის პედაგოგს, რომელიც იგვე თემას ამუშავებს მოსწავლეებთან გაუზიაროს თავისი გეგმები/კომპლექსური დავალებები/მატრიცები და მისცენ ერთმანეთს რეკომენდაციები. ამ ყოველივედან კი ვასკვნით, რომ, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

5.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: რჩევა: სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების *II – VI კლასის* კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემების სახელწოდებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ამ ეტაპზე ადგილი აქვს შეუსაბამობას. სტანდარტში მოცემული თემების ნაცვლად ვხვდებით ზოგჯერ ცნება/ქვეცნებებს, ან სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხებსა და თემებს. მაგალითად: • მე-2 კლასის წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში მოცემულია თემები: წყალი, ჰაერი; სტანდარტის მიხედვით დაზუსტებულია: წყალი როგორც გარემო; ჰაერი, როგორც გარემო;

	• სტანდარტის თანახმად, მე-3 კლასში ორი სავალდებულო/სარეკომენდაციო თემაა: 1) ჩემი ქვეყნის ბუნება და 2) მზის სისტემა; მე-3 კლასის წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში მოცემულია ორის ნაცვლად ექვსი თემა: 1) მზე და მთვარე, 2) სითბო, 3) ბგერა, 4) ბუნებრივი მოვლენები, 5) ყვავილოვანი მცენარეები, 6) ცხოველთა სამყარო; • სტანდარტის თანახმად, მე-4 კლასში ორი სავალდებულო/სარეკომენდაციო თემაა: 1) ,,დედამიწა“ და 2) ,,ციკლური პროცესები ბუნებაში“. მე-4 კლასის სასკოლო კურიკულუმში ნაცვლად წარმოდგენილი თემებისა: ,,ცოცხალი სამყარო“, ,,სხეულთა ურთიერთქმედება“, ,,ეს საოცარი წყალი“ უნდა იყოს ,,ციკლური პროცესები ბუნებაში“. • სტანდარტის თანახმად, მე-5 კლასში ისწავლება 3 სავალდებულო/სარეკომენდაციო თემა: 1) კოსმოსი, 2) ეკოსისტემები, 3) მოვლენები ჩვენს გარშემო; მე-5 კლასის სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილია 3-ის ნაცვლად 8 თემა. აქედან თემები: 1) ბუნების შესწავლის მეთოდები, რომელზედაც 10 საათია გამოყოფილი, 2) გარემოსთან შეგუება, 3) მოძრაობა და სიჩქარე, 4) მზის სისტემა; 5) დედამიწა, 6) კვებითი ჯაჭვი, 7) ელექტრობა - არ შეესაბამება სტანდარტს; • სტანდარტის თანახმად, მე-6 კლასში ისწავლება 3 სავალდებულო/სარეკომენდაციო თემა: 1) ენერგია და მისი გარდაქმნა, 2) ნარევები და მათი დაყოფის გზები, 3) ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა; წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში სამის ნაცვლად 8 თემაა: ბუნების შესწავლის მეთოდები (სამიზნე ცნება - მეცნიერული კვლევა-ძიება), 2) ნივთიერების თვისებები, 3) ნივთიერება და ნარევი, 4) ადამიანის ორგანიზმი, 5) სითბოსა და სინათლის განაწილება დედამიწაზე, 6) ჯანმრთელობა, 7) ენერგია, 8) ხმელეთის რელიეფი. თემის ფარგლებში დასამუშავებელია ყველა სამიზნე ცნება; დაქუცმაცებულად წარმოდგენილი ცალკეული თემების ფარგლებში კი ეს ვერ ხერხდება; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო თემების და სამიზნე ცნებების ფორმულირება შეესაბამებოდეს საგნობრივ სტანდარტს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** რჩევა: ფიზიკის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში ჩაიწეროს სავალდებულო თემების სახელწოდებები სტანდარტის შესაბამისად. მ ეტაპზე აღნიშნული

	კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების სახელწოდებებიწარმოადგენენ სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხებს/თემებს მაგალითად, სტანდარტის თანახმად, ფიზიკაში მე-7 კლასში ისწავლება 4 თემა: 1) მოსამზადებელი პერიოდი, 2) ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები, 3) თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა, 4) ძალა და წნევა; ფიზიკის მე- 7 კლასის სასკოლო კურიკულუმში მოცემულია 5 თემა სახელმძღვანელოს თავების შესაბამისად: 1) საუბარი ფიზიკის შესახებ; 2) ნივთიერების აგებულება, 3) მექანიკური მოძრაობა, 4) ძალა, 5) წნევა; რჩევა**:** ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმებში ჩაიწეროს სავალდებულო თემების სახელწოდებები სტანდარტის შესაბამისად. სტანდარტის თანახმად, ბიოლოგიაში მე-7 კლასში ისწავლება 5 თემა: 1) მიკროორგანიზმები 2) სოკოები 3) მცენარეები, 4) ცხოველები და 5) სასიცოცხლო ციკლი. წარმოდგენილ ბიოლოგიის მე-7 კლასის სასკოლო კურიკულუმში მოცემულია 5 თემა, თუმცა, თემების ფორმულირება განსხვავებულია სტანდარტისაგან და მიყვება სახელმძღვანელოს თემებს (1) ბიოლოგიის შესწავლის მეთოდები; 2) უჯრედი, 3) მცენარეები, 4) სოკოების სამეფო, 5) ცხოველთა სამეფო), რაც სასურველია გასწორდეს; მე-9 კლასის ბიოლოგიის სასკოლო კურიკულუმში სასწავლო თემის დასახელება მოცემულია შემდეგი სახით „შეგრძნების ორგანოები“, “უჯრედული მეტაბოლიზმი”; სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს „ადამიანის შეგრძნების ორგანოები“; „ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა“, „უჯრედის მეტაბოლიზმი“ - ჩაბაწერი დაზუსტდეს სტანდარტის შესაბამისად რჩევა: ქიმიის მე-8 და მე-10 კლასის კურიკულუმებში ჩაიწეროს სავალდებულო თემები სტანდარტის შესაბამისად. მაგალითად, სტანდარტის თანახმად ქიმიის მე-8 კლასში სასწავლო თემის დასახელება არის “წყალი, ხსნარები”, წარმოდგენილ კურიკულუმში თემის დასახელება მოცემულია ფორმულირებით “წყალი და ხსნარები”, რაც ხსნარების წარმოქმნას უშუალოდ წყალს უკავშირებს, ამასთან, თემა ითვალისწინებს ასევე მყარი ხსნარების (მეტალთა შენადნობები), აირადი ხსნარების (მაგ., ჰაერი) განხილვას;

საზოგადოებრივი მეცეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, სადაც სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და შემოქმედებითი უნარების რეალიზებაზე. დოკუმენტში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილების გააქტიურებასა და ახალი ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირებაზე. რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს კურიკულუმის დოკუმენტის **ერთიანი ვიზუალური და სტრუქტურული ფორმატის** დახვეწა. დოკუმენტის სტრუქტურული ერთგვაროვნება უზრუნველყოფს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უფრო ეფექტური ნავიგაციასა და მართვას. ასევე, მიზანშეწონილია კურიკულუმში კიდევ უფრო მკაფიოდ სისახოს **მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხი** (მაგალითად: კომპლექსური დავალების პროდუქტის ფორმის არჩევანი), რაც ხელს უწყობს მოსწავლის პასუხისმგებლობის ზრდას და მოტივაციას.
უცხოური ენები	სასურველია საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის კურიკულუმი ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე და ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. დოკუმენტში წარმოდგენილია მოსწავლეთათვის აქტუალური და საინტერესო თემები, მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები, რაც ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს.

	კურიკულუმის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის პედაგოგებს აქვთ მკაფიო მზაობა დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული სწავლება. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებულ, მოქნილ და შემოქმედებით სასწავლო მიდგომებს. ამასთანავე, კურიკულუმში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, სტრუქტურულ მოწესრიგებასა და დახვეწას, რათა უფრო ეფექტიანად პასუხობდეს სასწავლო მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. თავად მასწავლებლებიც აღნიშნავენ, რომ კურიკულუმი წარმოადგენს „ცოცხალ დოკუმენტს“, რომელიც საჭიროებს პერიოდულ გადახედვასა და განახლებას. შესაბამისად, ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, მომავალშიც აქტიურად განავითარონ და დახვეწონ კურიკულუმი, რათა იგი კიდევ უფრო მეტად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან შესაბამისი. რჩევა: • სასურველია, დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დაემატოს თემატური ბლოკები სტანდარტის შესაბამისად; საკითხების გრაფაში ქვეცნებები გადატანილ იქნას სამიზნე ცნებების გრაფაში, ხოლო საკითხების გრაფაში აისახოს დავალების შესაბამისი შინაარსი. შუალედური სასწავლო მიზნების გრაფაში დავალებები გამსხვილდეს და ამოღებულ იქნას ზედმეტი აქტივობები. სასწავლო რესურსების გრაფაში შეტანილ იქნას სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა და ინტერნეტრესურსები. • ასევე, სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების V–VI კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეხუთე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები. • *სასურველია, საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VIII კლასის კურიკულუმში რესურსები გადატანილ იქნას შესაბამის რესურსების გრაფაში. ასევე, მოწესრიგდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების გრაფები.*

	• *სასურველია, საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VIII–IX კლასების კურიკულუმში მოესრიგდეს კომპლექსური/კომპლექსური ტიპის დავალებების სვეტი.* • ასევე, სასურველია, საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების *VIII–IX* კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეოთხე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, ნინო ნაკაშიძის მოთხრობის ,,ჩიტის ბუდე" ბოლო ეპიზოდის საფუძველზე კომიქსის შექმნა - 1-ლი კლასი (ანბანისშემდგომი პერიოდი); იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ,,ჭიანჭველა და ფუტკარი" გაგრძელება - მე-2 კლასი; ზღაპრის შექმნა სასურველ თემატიკაზე - მე-3 კლასი; ვაჟა ფშაველას მოთხრობა ,,სათაგურის" მიხედვით კომიქსის შექმნა - მე-4 კლასი; მოარული სიუჟეტების პრინციპისა და ნიმუშის გათვალისწინებით „თავფარავნელი ჭაბუკუსა" და „ჰეროსა და ლეანდროსის სიყვარულის" მსგავსი ამბის შექმნა -მე-7 კლასი; მ. ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვის" ერთ-ერთი პერსონაჟის (მაგ., სოფიოს, დათას, სოლოს, სოფიოს მამის, დათას დედის, წამქეზებელი მოხუცის, დედაკაცის, რომელმაც ქვა შეაჩეჩა სოფიოს) ლინჩის წესით გასამართლებასთან დაკავშირებული დამოკიდებულების გადმოცემა მონოლოგის სახით ტექსტში მოცემულ მინიშნებებზე დაყრდნობი

	თ - მე-8 კლასი; არგუმრნტირებული ესე- „პასუხისმგებელია თუ არა საზოგადოება ცალკეული ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე“ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „სარჩობელაზედ“დაყრდნობით - მე- 9 კლასი; ანალიტიკური ესე თემაზე:“შუშანიკის წამება“- ოჯახური დრამა თუ შუშანიკის მიერ ერის სულიერი ხსნა? - მე10 კლასი და სხვა გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილება და ინდივიდუალური საჭიროებები. **რჩევა: საბაზო საფეხურის,** კერძოდ მე-8 და მე-10 კლასების კურიკულუმებში შუალედური მიზნის დავალებაში გამოიკვეთოს დავალების იდეა. **ყველა საფეხურის** კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სინი განსაზღვრავენ სწავლა -სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს

	და წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. ასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე- 6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა მეორე კლასი – „პიკნიკის დაგეგმვა“; ქართული პირველი კლასი – ილუსტრირებული ანბანის შექმნა ; მე და საზოგადოება – მესამე კლასი– პოსტერისა და კედლის გაზეთის შექმნა; ბუნებისმეტყველება – მესამე კლასი–”ჩრდილების თეატრი”), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების

	განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. სამივე საფეხურის კურიკულუმებში თემების ფარგლებში ასახულია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, აქტივობები და სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, შუალედური სასწავლო მიზნის სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები (როგორც წესი, ერთი შემოქმედებითი დავალება წლის განმავლობაში) ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კრეატიულობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები:

	რჩევა: სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების *I – IV კლასის* კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმის მე-10 მუხლის შესაბამისად, ანუ უნიფიცირებული V-VI კლასის ბუნებისმეტყველების სამიზნე ცნებებთან; რჩევა: მე-4 კლასის სასკოლო კურიკულუმში ჩაიწეროს სამიზნე ცნებები სტანდარტის შესაბამისად. ამ ეტაპზე მე-4 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები საერთოდ არ არის დაფიქსირებული, მოცემულია მხოლოდ ქვეცნებები - ზოგადი და კერძო; რჩევა: ფიზიკის მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ამ ეტაპზე როგორც სამიზნე ცნებები მითითებულია - მექანიკური მუშაობა, სიმძლავრე, სითბოს რაოდენობა - ანუ თემები / საკითხები ანაცვლებს სამიზნე ცნებებს; **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმებში ყველა თემის მიხედვით (საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი თემების შემთხვევაში) წარმოდგენილი იყოს შუალედური სასწავლო მიზნები. ამ ეტაპზე, როგორც წესი, წლის განმავლობაში დაგეგმილია ერთი შემოქმედებითი ტიპის დავალება - შუალედური სასწავლო მიზანი; რჩევა: ქიმიის ყველა კლასის კურიკულუმში მიეთითოს შუალედურ მიზნად შემოქმედებითი ტიპის დავალება. ამ ეტაპზე ქიმიის ყველა კლასის კურიკულუმში შუალედურ სასწავლო მიზანში მოცემულია არა შემოქმედებითი დავალება /პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, არამედ გადმოწერილია საგნობრივი სტანდარტიდან შედეგის ინდიკატორები - რა უნდა შეძლოს მოსწავლეს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. რჩევა: სასურველია, რომ მოსწავლის მიერ შექმნილ შემოქმედებითი ტიპის პროდუქტში აისახოს კავშირი სამიზნე ცნებას, ქვეცნებებს, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებს/ქვესაკითხებს შორის. აგალითად, ე-5 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თემაზე "ეკოსისტემები" შუალედურ სასწავლო მიზნად მოცემულია შემოქმედებითი დავალება - „პლაკატების და სლოგანების მომზადება გარემოს

	დაცვის მნიშვნელობის დასადასტურებლად"; მოცემული თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხებია: ეკოსისტემა, ეკოლოგიური ფაქტორები, სინათლე და ტემპერატურა, ნიადაგი და ტენიანობა, საქართველოს ტყეები, შავი ზღვა, წითელი წიგნი. რამდენად აისახა სლოგანებში დასამუშავებელი საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში? ამავე დროს ამავე თემის აქტივობებში არის ჩამონათვალი - საინფორმაციო ბუკლეტის, პრეზენტაციის "ბიომრავალფეროვნების დაცვა" მომზადება, რაც უფრო რელევანტურ პროდუქტებად (პრეზენტაცია, ბუკლეტი) გვევლინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმები სრულად მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის სტრუქტურა ორიენტირებულია მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი ძირითადად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მოთხოვნები საგნობრივ შედეგებთან მიმართებით მეტწილად სრულყოფილად არის ასახული. მნიშვნელოვანი სისტემური უზუსტობები ან არსებითი შეუსაბამობები არ იკვეთება.

	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ანალიზის შედეგად კი გამოვლინდა, რომ დოკუმენტები სრულად ვერ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი სამიზნე ცნების სათანადო დამუშავებას. კერძოდ, V–VI კლასებში არ მუშავდება მეხუთე სამიზნე ცნება, აგრეთვე VII–IX კლასებში არ მუშავდება მეოთხე სამიზნე ცნება. ინტერვიუებისა და დოკუმენტების განხილვის საფუძველზე ასევე გამოვლინდა გარკვეული სტრუქტურული უზუსტობები, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები კურიკულუმების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით. ამასთან, კათედრის პედაგოგები გამოხატავენ მზაობას კურიკულუმების გადახედვისა და განახლებისათვის, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. **რჩევა :** სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების V–VI კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეხუთე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები. ასევე სასურველია, საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების *VIII–IX* კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ჩამონათვალი, რადგან აღნიშნული სამიზნე ცნება დავალებაში მუშავდება, თუმცა იგი გამორჩენილია და საჭიროებს დამატებას — კერძოდ, მეოთხე სამიზნე ცნების: სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები. ასევე სასურველია, გადაიხედოს მუსიკის კურიკულუმები.

	VII, VIII და IX კლასებში დავალებების გრაფაში მოხდეს აქტივობების გამსხვილება და ზედმეტი დავალებების ამოღება. სასწავლო გეგმაში დარჩეს მხოლოდ ის დავალებები, რომელთა შესრულებაც რეალურად შესაძლებელია მოცემულ დროში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: **თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები.** ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები (ფოტომასალა) გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად მიმდინარეობს და ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას ითვალისწინებს. შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია თემის მიზნებზე. გარდა კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისა, შუალედური მიზნების მისაღწევად ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროექტები და პრაქტიკული ამოცანები. **რჩევა: დაწყებითი საფეხურის,** კერძოდ, მე-4 კლასის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“, ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“.

	ყველა საფეხურზე კურიკულუმებში სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნ ე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რ ომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქე ობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრ ივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. რჩევა: *მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალ ისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. *რჩევა: სასურველია, ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმების ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად და ჩანდეს კურიკულუმებში ყველა სავალდებულო თემის დამუშავება.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმებში გაწერილია ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. როგორც წესი, ეს რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს (უმეტეს შემთხვევაში შესაბამისი გვერდების მითითებით), მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს - ტელესკოლის გაკვეთილები, CK-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, თუმცა, ნაკლებად ფიქსირდება რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.

	რჩევა: ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმში მიეთითოს სახელმძღვანელოს გვერდები; ინტერნეტ - რესურსების ლინკები, რესურსები რეალური ცდებისთვის. ამ ეტაპზე მე-7 კლასის (კურიკულუმის სატიტულო ნაწილში მითითებულია VIII კლასი ნაცვლად VII კლასისა) სასკოლო კურიკულუმის თითქმის ყველა თემა ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოს - სხეულის მოცულობის გაზომვა, მძიმე და მსუბუქი ნივთიერებები, სიმკვრივე, თანაბარი და არათანაბარი მოძრაობის შესწავლა, თუმცა "სასწავლო რესურსებში" არც ერთი რესურსი რეალური ცდებისთვის მოთითებული არ არის. **რჩევა:** ბიოლოგიის მე-7 კლასის კურიკულუმში "სასწავლო რესურსებში" მიეთითოს ინეტრნეტ რესურსების ლინკები, რეალური ცდების დასახელება, ცდების მასალები და მოწყობილობები. ამ ეტაპზე მოსწავლის წიგნის გარდა სხვა რესურსები არ არის მითითებული, თუმცა, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის სატიტულო ნაწილში დამატებითი რესურსების ჩამონათვალი ითვალისწინებს მიკროსკოპს, პლაკატებს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას. **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო რესურსების ერთობლიობა (ძირითადი სახელმძღვანელოები, პირველწყაროები, რუკ ები და სხვა ვიზუალური მასალები) შერჩეულია კურიკულუმის მიზნების შესაბამისად. სკოლაშ ი დამხმარე რესურსების შერჩევის მიდგომა, უზრუნველყოფს მათ შინაარსობრივ სიზუსტესა და ეთიკურობას. **რჩევა:** სასურველია სასწავლო რესურსების ბანკის პერიოდული განახლება ციფრული პლატფორ მებით, რაც სასწავლო პროცეს გახდის უფრო მრავალფეროვანს. ასევე,მნიშვნელოვანია კათერა შეთანხმდეს ერთიდაიგივე კურიკულუმის დიზაინსა და სტრუქტურაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები — მათ შორის საგანმანა თლებლო, ვიზუალური, აუდიო და პრაქტიკული რესურსები — სრულად უზრუნველყოფს მოსწ ავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები ადეკვატურად შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით გათვალისწინებუ ლი ცოდნა და უნარები. რჩევა სასურველია, გადაიხედოს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები და რესურსების გრაფაში სისტემურად განთავსდეს თემატიკის შესაბამისი სასწავლო მასალები სახელმძღვანელოდან და შესაბამისი ინტერნეტრესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, სკოლისა და კათედრის მიერ შერჩეული დადამხმარე სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები. რჩევა: **დაწყებითი საფეხურის,** კერძოდ, მე-4 კლასის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება „რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის“ ჩანაცვლდეს „სასწავლო რესურსებით“ და სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	არმოდგენილ კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩ არჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კური კულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**. ***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .*

7. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმები ითვალისწინებს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებას თემების შესაბამისად. შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით. ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომას , რაც გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების და ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმების დაგეგმვაში. პროცესი ორიენტირებულია ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, სადაც დაცულია ყველა მოსწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობის განათლებაზე, მათი აკადემიური მზაობისა და ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათ აქვთ დიდი გამოცდილება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ასევე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში ნათლად ჩანს შეთავაზებული დავალებების კომპლექ სური ხასიათი, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულ ება მრავალფეროვანი და მათთვის ეფექტური გზებით გამოხატონ. მასწავლებლებთან ინტერვიუე ბმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვამ აჩვენა, რომ სწავლების პროცესში გამოიყ ენება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები: ხდება დავალებების სირთულის დონის მორგება, პირობების ადაპტირება და რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ამაღლებს მოტივაც იას და უწყობს ხელს ცნობიერ სწავლებას — მოსწავლეები უკეთ ხვდებიან, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სახელმწიფო ენაში ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. იუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, ფლობენ თეორიულ ცოდნას ასეთ მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობის შესახებ, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკად აქცევენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების ფორმებს. ს არეგ ულირებს დატვირთვის მოცულობას, ინტესივობას, ვარჯიშების გამეორების რაოდენობას, ტემპს და სხვ. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგ მას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედა გოგებთან გასაუბრებით მოყვანილ იქნა კონკრეტულად სასწავლო პროცესში როგორ ხდება მოსწავ ლეთა ინდივიდალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფემნცირება საგაკვეთილო პროცესში, იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** *რჩევა: სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოს წავლეებისთვის,* *(რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვ ალისწინებით.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*

8. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები საგნების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან, ასევე, **ქვეცნებებთან** მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას/ქვეცნებას შორის
საზოგადოებრივ მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ (პიროვნულ და აკადემიურ) განვითარებაზე. სკოლას განემარტა რომ ყველა საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ორიენტირებული უნდა იყოს სამიზნე ცნებებზე. სკოლამ გამოხატა მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და შეიტანა ცვლილებები დოკუმენტში. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროექტული სწავლების ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას.კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც უფრო ობიექტურად ასახავს მოსწავლეთა პრაქტიკულ კომპეტენციებს. ყველა საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით შეფასების რუბრიკის დანერგვა პრაქტიკაში და ანალიზი. ნისვნელოვანია საგან მოქალაქეობაში ოსწავლეთა მონაწილეობითი პროცესების ხელშეწყობა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება . **შესაბამისად** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**აკმაყოფილებს კრიტერიუმს** შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. სკოლას აქვს ხედვა თუ როგორ გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკების) ანალიზი ცხადყოფს, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა საჭიროება, თავიდან გადამუშავდეს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც მკაფიოდ იქნება გაშლილი მიმართებები სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან, რადგან არსებული რუბრიკები ზედმეტად ზოგად ხასიათს ატარებს. რჩევა: სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან მიმართებით, კონკრეტული საკითხების შესაბამისად, რათა მეტად გამოიკვეთოს კავშირი საკითხსა და სამიზნე ცნება/ქვეცნებებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა **უმეტესად** პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრი კები. ზემოთხსენებული რუბრიკები ისეა შემუშავებული, რომ გათვალისწინებულია ის გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მისაღწევადაც ხორციელდება კონკრეტული შემოქმედებითი დავალებები, თუ საგაკვეთილო აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინტეგრირება ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ მონიტორინგს. კრიტერიუმებზე დაფუძნებული რუბრიკები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, ხოლო სისტემური უკუკავშირი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესსა და განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასებისას მასწავლებელი იყენებს ზეპირსიტყვიერ და წერილობით განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ეფასების

	სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტექნიკური ელემენტების დაუფლების ხარისხი. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე გა ნმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რო მლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდ გენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გ ამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ. ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე გან მავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა** - *სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მ ოსწავლეებისთვის,* *(რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათ ვალისწინებით).*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:****სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ 1-4 კლასში შეიმუშავებენ*

	დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. კარგი იქნება, თუ მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები მიმართული იქნება სამიზნე ცნების დამუშავებაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი
- შემოქმედებითი დავალებები სახელმწიფო ენაში და მათი ამსახველი ფოტომასალა;
- ვერიფიკაციის წესი;
- დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები
- საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025 – 2026 სასწ. წელი ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, 2025 – 2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - საბაზო საფეხურის კურიკულუმი, 2025-2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - საშუალო საფეხურის კურიკულუმი, 2025 – 2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - რესურსები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- შემაჯამებელი ტესტები და ანალიზი (საგნების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და კლასების მიხედვით) ;
- განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმების ანგარიში;
- კათედრის სამუშაო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

◦ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) - კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების

	თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნის (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს მოსწავლეების შემოქმედებით დავალებაზე /შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობას, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან განსხვავებულ შემოქმედებით პროდუქტებს - PP პრეზენტაციებს, მოხსენებებს, მოდელებს, პოსტერებს, ნახატების ალბომებს, და ა.შ., ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასება რუბრიკებით და შეფასების ანალიზი; არსებობს კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება, ურთიერთდასწრების პრაქტიკა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, საკლუბო და საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საწრეო მუშაობის გააქტიურება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე სკოლაში არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული არც ერთი კლუბი / წრე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკ ულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში ასახული აქტივობები და კომპლექსური დავალებები ლოგიკ ურ კავშირშია სამიზნე ცნებებთან და სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. პედაგოგები ახორციელებენ ბევრ შიდა სასკოლო , პროექტს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზი ნა თელს ჰყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შემოქმედებით საქმიანობაში. ინტერვი უს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სას წავლო აქტივობები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ შედ

	ეგებს. პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები და შემოქმედებითი პროცესი სისტემურად არის ს ტრუქტურირებული, ემთხვევა გეგმაში წინასწარ განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და უზრუნვე ლყოფს მოსწავლეთა აქტიურ, ღრმა და მრავალმხრივ ჩართულობას. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემყარება და რეალურად ასახავს სასკოლო კურიკულუმის პრინციპე ბსა და სტრუქტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმთან შესაბამისობაში განხორციელებულია თემებისა და სამიზნე ცნებების სისტემური დამუშავება. თემების მიხედვით შესრულებულია როგორც შემაჯამებელი სამუშაოები, ისე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენებს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში ეყრდნობა კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზნე ცნებებსა და თემებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა- სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
ზოგადი განათლების	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

დაწყებითი საფეხური	**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.*

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

როგორც სკოლის ინვენტარის შესწავლითა და ინტერვიუიებით გაირკვა, საჭიროების შემთხვევაში სკოლა ახერხებს, ხანგრძლივი ვადით სკოლაში ფიზიკურად არმყოფ მოსწავლესთან, ჩაატაროს ონლაინ გაკვეთილები.

სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მხარდამჭერი გუფის დოკუმენტი (ბრძანება N 799 და მოსწავლეთა ადაპტაციის ,რომელიც ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: ბ მაგალითად, ტრანზიციის პერიოდებს (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია), სა დაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, და ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ მოსწავლეებმა მარტივად, სტრესის გარეშე მოახდინოს ინტეგრირება ახალ გარემოსთან.

სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მე ქანიზმებს. სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს და სკოლის ფსიქოლოგს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობაში. დიდი ყურადღება ეთმობა მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას, ცვლილებებზე დროულ რეაგირებას. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში; შერჩეულ იქნას სამიზნე ცნების განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს შეფასების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სას წავლო გეგმის პრინციპებს. სისტემურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, შეფასებ ის კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისთვის, უკუკავშირი კი მიმართულია მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის ხელშეწყობისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	როგორც წარმოდგენილი მასალით ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები ერთობლივად შემუშავებულია კათედრებზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რაც მათ ვალიდურობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში - ხელოვნება , მუსიკა გამოიყენება როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი შეფასების რუბრიკები. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, დაინტერესების შემთხვევაში კი მასწავლებლების მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება მშობელსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშაოს უფრო მეტი კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც ნათლად გამოჩნდება კავშირი იმ გრძელვადიან მიზნებთან, რომლებიც საგნის სწავლები მთავარი ორიენტირებია.
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილ დავალებებს ახლავს შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ზრდის ნდობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური არზრიდსა და სპორტის შეფასების რუბრიკებში ნათლად არის ასახული, თუ რომელი კრიტერიუმების მიერ მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები. შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გადმოგზავნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი აქვს ბრძანება N824 დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი,რომელიც დეტალურად აღწერს პროექტს, რის მიხედვითაც სკოლა ახდენს/მოახდენს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას სწავლის დაწყებიდან მაქსიმუმ 6 თვეში ერთხელ წინასწარ განსაზღვრული/დამტკიცებული ჯგუფის მეშვეობით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი კი მოიცავს შედეგ ეტაპებს :

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა;

- სამუშაო გეგმის შექმნა;
- რისკების განსაზღვრა;
- ვერიფიკაციის განხორციელება;
- შედეგების ანალიზი;
- უკუკავშირი/დაგეგმვა.

ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების ვერიფიაკციის მიზნით კათედრის შიგნით მასწავლებლები ეცნობიან ერთმანეთის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადოდ არის აღრიცხული და ინახება როგორც მოსწავლეთა პირად საქმეებში, ასევე ელექტრონულ ჟურნალში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 824 დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისათვის;
- შეფასების რუბრიკები თითოეული საგნისთვის;
- კათედრების ოქმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;

- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება-ურთიერთ დასწრების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე რესურსებით. რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოებს; დამხმარე რესურსების სახით - მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის გაკვეთილებს, CK-12 საგანმანათლებლო პლატფორმას, ვირტუალურ ლაბორატორიებს, სხვა ინტერნეტ-რესურსებს. მატერიალური და ელექტრონული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელმისაწვდომია კომპიუტერები/ლეპტოპები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს მსველელობისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ატარებენ რეალურ ცდებს/ექსპერიმენტებს, რაც ნაწილობრივ ასახულია კურიკულუმებშიც აქტივობებში, ასევე, შემოქმედებითი დავალების იდეის სახით. მაგალითად: ბუნებისმეტყველება, IV კლასი - “აქტივობა - ცდები”, ბიოლოგია, VII კლასი - “მიკროსკოპთან მუშაობა. ხახვის ქერქლის უჯრედების პრეპარატის მომზადება”, და სხვ.

	თუმცა, ***ცდების ჩატარებისთვის საჭირო რეაქტივები/მასალები და მოწყობილობები არ არის ასახული კურიკულუმის "სასწავლო რესურსებში".*** შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ცდების ჩატარებას არ აქვს სისტემური და სისტემატური ხასიათი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს ცდების ჩატარებისათვის გარკვეული ინფრასტრუქტურა - სკოლაში არის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია დენით, წყლით, არის კარადები/სათავსოები; კარადებში და ღია თაროებზე მოთავსებულია ფიზიკის მოწყობილობები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად), ბიოლოგიის ისეთი რესურსები, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ქიმიის ლაბორატორიული ჭურჭელი და მოწყობილობები; **რჩევა**: სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები (ცდის/ლაბ. სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები), რაც სასწავლო პროცესში ცდების ჩატარებას სისტემურ და სისტემატურ ხასიათს მისცემს; **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია", აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში სასწავლო პროცესი ეფუძნება როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს ისტორიულ წყაროებს, რუკებს, გრაფიკულ ორგანიზატორებს, სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს და ვიდეომასალას, სამიზნე ცნებებთან შინაარსობრივ კავშირშია.პროექტული სწავლების გეგმები ადასტურებს, რომ მასწავლებლები რესურსებს მიზნობრივად, კურიკულუმის შესაბამისად იყენებენ. **რჩევა:** იმ კურიკულუმებში, სადაც რესურსები მხოლოდ ზოგადად არის მითითებული, მიზანშეწონილია ალტერნატიული სასწავლო მასალების ადაპტირებული წყაროების, თემატური ვიდეორგოლებისა და ინტერაქტიული დავალებების დამატება

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. რჩევა: სასურველია, დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის მითითებული იყოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები და შესაბამისი ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. **რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი რესურსები, რომლებიც ასახულია კურიკულუმებში. ამხამარე რესურსების გამოყენება უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მრავალფეროვანი აქტივობების ჩატარებას და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითად რესურსთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსებით, რაც ფიქსირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. კათედრის ფორმატში ხდება კურიკულუმში ასახული დამატებითი საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების გადახედვა და სასწავლო მიზნებთან ვალიდურობის დადგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებობს დამხმარე რესურსების შესწავლისა და ვალიდაციის პრაქტიკა, მასწავლებლები აფასებენ მასალების შინაარსობრივ სისწორეს და ასაკობრივ-კულტურული შესაბამისობისობას , რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მიწოდებული რესურსების ხარისხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა, რათა ყველა საგნის კურიკულუმი თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ტექსტური, ისე მულტიმედიური და ციფრული საძიებო რესურსებით.
უცხოური ენები	სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა კათედრის წევრებს ერთობლივი ჩართულობით. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო რესურსების ვალიდაციას უზრუნველყოფს ესთეტიკის კათედრა, კათედრის წევრთა ერთობლივი ჩართულობით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის საგნებში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის ეფექტური მექანიზმი. რესურსების შესაბამისობის დადგენა კათედრის ფორმატში ხდება. შერჩეული მასალები შინაარსობრივად გამართულია, პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს და ორიენტირებულია სწავლის ხარისხის ამაღლებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რაც შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება საგნობრივი კათედრების ოქმებში . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, ფიზიკის მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); **რჩევა:** სასურველია, ბიოლოგიის ისეთი რესურსების, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შევსება და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით შესაბამისი წარწერების გაკეთება; **რჩევა**: სასურველია, ქიმიის რეაქტივებისა და მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შერჩეული მატერიალ ური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მათთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფ ექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწ ავლო პროცესი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლ ებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები და საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს როგორც მუ სიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევა შესაძლებელია სათანადო მატერიალური რესურსით, რომელიც მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია და ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის მრავალფეროვნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი და გარე მოედანი. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატრესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნოვრივ კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია, ფეხბურთის, ფრენბურთი, კალათბურთის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ტანვარჯიშული ლეიბი, ჰულა-ჰოპები, ნიშნულები, მცირე ბურთები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერულინ ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერებ ირაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმ დინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს 30 პედაგოგი და 13 ადმინისტრაციის წევრი, რომელთაგან 2 ამავდროულად ასრულებს პედაგოგიურ საქმიანობას, პედაგოგთაგან უმეტესი ნაწილი არის უფროსი სტატუსის მქონე, ერთი მენტორი და ერთიც წამყვანი. ასევე, სკოლას მოწვეული მასწავლებლის სტატუსით დასაქმებული ჰყავს 4პედაგოგი,რომლთა საათობრივი დატვრითვა არ ცდება კვირეულად 9 საგაკვეთილო საათს.შესაბამისად **,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი;
- შემოქმედებითი დავალებები სახელმწიფო ენაში და მათი ამსახველი ფოტომასალა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები
- საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025 – 2026 სასწ. წელი ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, 2025 – 2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - საბაზო საფეხურის კურიკულუმი, 2025-2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - საშუალო საფეხურის კურიკულუმი, 2025 – 2026 ;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - რესურსები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- შემაჯამებელი ტესტები და ანალიზი (საგნების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და კლასების მიხედვით) ;
- განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმების ანგარიში;

კათედრის სამუშაო გეგმა 2025-2026 სასწავლო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

◦ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 835.) გვეუბნება, რომ სკოლა ახდენს/მოახდენს კურიკულუმის მონიტორინგს, იმისთვის, რომ გასცეს პასუხი კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად, იძლევა თუ არა განხორციელბული აქტივობები სასურველ შედეგს; მასწავლებელთა ინტერვიუდან შევიტყვეთ, რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება ჭადრაკის პრინციპით, ყოველ წელს სამ-სამ საგანში დიაგნოსტიკური წერების საშუალებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ისევე როგორც მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება გვეუბნება, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ახდენს კურიკულუმის მონიტორინგის,

შემაჯამებელი დავავლებების, მოსწავლეთა ინდივიდუალურად დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებას და მიგნებების საფუძველზე ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში პრობლემების გადაჭრის გზების ასახვას.შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

როგორც სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუდან, კათედრების ოქმების შესწავლით, კათედრების სამოქმედო გეგმებითა და სემესტრის ბოლოს გაკეთებული მოხსენებებით, ისევე როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ვიგებთ, სასკოლო წლიური კურიკულუმის მონიტორინგი ეხმარებათ მასწავლებლებს მომდევნო სასწავლო წლის პროგრამაში ასახონ იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოერგება თითოეული მოსწავლის საჭიროებას და მიზნობრივად იმუშავებს სწავლა- სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- კათედრების ოქმები;
- კათედრების სემესტრის ბოლოს გაკეთებული ანგარიშები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძანება N 799);
- სასკოლო სასწავლო გეგმა 225-26 ბრძანება N2/057.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლაში შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მიმდინარე პროცესი დაგეგმილს და რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს: აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს, ინტენსიურად იყენებენ კითხვარებზე დაფუძნებულ -რაოდენობრივ კვლევებს, თანამშრომლობენ მშობლებთან და აქტიურად ერთვებიან პროცესის ანალიზში. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის სხდომებზე სისტემურად განიხილება სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, სემესტრის ბოლოს კი მზადდება კათედრების მოხსენება, სწორედ სემესტრის განმავლობაში მოგროვებული მონაცემების ანალიზის ამსახველი, დგინდება პროცესის შესაბამისობა დაგეგმილთან, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა და მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულების ხარისხი და თითოეულ მოსწავლეთა მიღწევების შედეგები ამათუიმ საგნის სტანდარტის ჭრილში. ასევე მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ რა გზებით შეიძლება მოხდეს არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი მათი ეფექტიანი გადაჭრა. ამ პროცესში აქტიურად ერთვება სკოლის ხარისხის მენეჯერიც. ეს ყოველივე კი გვიქმნის საფუძველს დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

კურიკულუმის შეფასებისას სკოლა უმეტესად ეყრდნობა მასწავლებლის თვითშეფასებას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მშობელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებულ კითხვარებს, რომელიც აძლევთ ინფორმაციას თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. კათედრებზე, სამუშაო ჯგუფებში, საერთო შეხვედრებზე განიხილება კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეები და გადაჭრის გზები. ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით სკოლაში სისტემატიურად ეწყობა პროფესიული განხილვები მასწავლებლებთან, მშობლებთან. მასწავლებელთა საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრებს. ასევე, პედაგოგები აქტიურად იყენებენ ე.წ "იაპონური ქოუჩინგის" მეთოდსაც, რაც თავისთავში მოიცავს პედაგოგთა შორის რომელიმე კონკრეტული პრობლემური ქეისის შესწავლას, საგაკვეთილო პროცესის ერთობლივად დაგეგმვას, შემდეგ კი ამ დაგეგმილის განხორციელების პროცესის დაკვირვებას და იდენტიფიცირებული გამოწვევევების გზების ერთობლივად მოძიებას. ეს ყოველივე კი, სკოლას ეხმარება კურიკულუმის შეფასების პროცესში მრავალი კონტექსტის გათვალისწინებაში. ამ ყოველივეს გათვალისწინებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალმხრივ მეთოდს როგორებიცაა; საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მასწავლებელთა ურთიერთ დასწრებებისას გაკეთებული მიგნებები, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური ტიპის დავალებების და სხვა.) ანალიზი.

ამასთან, სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ანხორციელებს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას. აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს სასწავლო შედეგების, პროცესების ეფექტიანობისა და არსებული გამოწვევების სიღრმისეულ ანალიზს, რაც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი შემდგომი სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და გაუმჯობესების ქმედებების დაგეგმვისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სისტემურად, მრავალმხრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

.

სასწავლო პროცესების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს, მათ შორის: დროსა და სივრცეს, სასკოლო საზოგადოების პოტენციალს და სხვა ცვლადებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ საბოლოო შედეგზე. სკოლა ინდივიდუალურ ჭრილში განიხილავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სოციალური ფონი და ოჯახური კონტექსტი. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფილია სწავლების მეთოდოლოგიის მაქსიმალურ მოქნილობითა და ინკლუზიურობით . აღნიშნული მრავალმხრივი მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას, შეიმუშაოს განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს და მიმართულია სასწავლო პროცესში თითოეული ინდივიდუალის პოტენციალის მაქსიმალურ

რეალიზებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს და უზრუნველყოფს გარემო, რაც გვაკეთებინებს დასკვნას, რომ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ. (დანართი 38)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დანართი 43);
- კოლეგებს შორის ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია (უცხოური ენების კათედრა);
- პროექტული დავალებების გეგმები;
- მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმები;
- კათედრების კრებების ოქმები;
- პედ. საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, სკოლა გასული სასწავლო პროცესის მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს მომდევნო/ახალი სასწავლო წლის პროგრამის შექმნას. მასწავლებლები აწყობენ დიაგოსტიკურ წერებს, აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს სწავლა-სწავლების პროცესში, კოლეგები ახდენენ ურთიერთ დასწრებას და გამოწვევების ერთობლივად განხილვას, პარალელური კლასის ერთი და იმავე საგნის პედაგოგები, ყოველ თემაზე მუშაობისას, მინიმუმ ერთხელ იკრიბებებიან და აანალიზებენ საკლასო სივრცეში წამწყდარ გამოწვევებს, სემესტრის ბოლოს კი თითოეული კათედრა პედ. საბჭოს წინაშე წარადგენს განვლილი სემესტრის სასწავლო პროცესის ამსახველ ანგარიშს; სკოლის დირექცია, დამრიგებლების საშუალებით , ხშირად ახდენს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, ამ ინსტრუმენტებიდან მიღებულ მონაცემებს , სკოლა აანალიზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს, რომლის ხელმძღვანელობაც ევალება სკოლის ადმინისტრაციას. სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს და მათთან თანამშრომლობით ნერგავს სასკოლო სასწავლო პროგრამას. რაც ცალსახად განმაპირობებელია სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც პედაგოგთა ინტერვიუებმა ცხადყო; მასწავლებლები სისტემატიურად ახდენენ ჩანიშვნების გაკეთებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ინიშნავენ, თუ რა გამოწვევევბი ახლავს მათ მიერ დაგგემილ სასწავლო პროგრამას მუშაობის პროცესში. მიღებულ მონაცემებს კათედრა ერთობლივად განიხილავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 824 დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისათვის;
- შეფასების რუბრიკები თითოეული საგნისთვის;
- კათედრების ოქმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება-ურთიერთ დასწრების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 5.22.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: